



იმისთანა წმინდა საღმრთო, ბრძანებზე ბეჭდვით სიფრთხილად, ფაქტობრივად და ჭიჭილად ბრძანების გადართვა ყველა უკანონოებაზე უსამართლოა.

ბაგოლის 1918 წლის 25 ივლისიდან

რესპუბლიკა

თბილისი, 27 სექტემბერი. 2023 წ. №109 (9641) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

30 წელი უაფხაზეთოდ!

წიული შარტავა: ბოლომდე ვიბრძობებთ, ვიდრე შეგვიძლია და თუ სიკვდილი გვიწერია, არც ეს უნდა იყოს დიდი ტრაგედია. ისეთი ბიჭები იხოცებიან, ძნელია, ამის შემყურემ სიცოცხლეზე იფიქრო. რას იბამ, ბედისწერას ვერ გაექცევი.



კრისტინა ავიკია:

აფხაზეთის ყველაზე დიდი მტერი რუსეთია... გვჭირდება დიალოგი ქართველებთან!

...რუსეთის შეაღბანლობაში მუსულა ბარდაშუვალი სიკვდილია. და არა მარტო აფხაზეთის სახელმწიფოსი, არამედ თავად ჩვენი – აფხაზი ხალხისაც! რუსებმა იმდენად დაგვანხრეს საკუთარ „მოსიყვან-

რულე მკლავებში“, რომ პირველად მრავალი წლის განმავლობაში, მოსახლეობამ დაიწყო შიშური ქართველებთან შერიგებაზე, როგორც გადარჩენის ერთადერთ შესაძლებლობაზე. ②

დაბერებულ **საქართველოში ასაკით კენსიონერთა რიცხვმა 826 ათასს მიაღწია!..**

უკველესი და უკლიერესი ჩინეთი დღეს საქართველოს კლიან ბამოადგება

კვალი დროში



5

ლეონიდა ოკლაი - უსანიშნავი სამეცნიერო სკოლის შემქმნელი



მონ. კლაუდიო გუჯაროტი

საერო ასკეტიზმი ბერისა, რომელსაც მონასტერი გადაუნვეს...

თბარ უპრლანას არღაპიფყება



7

სიყვარული - მიზანში

ურჩხულს
სისხლად
დადინდეს
კოდვა

საქართველოსი!

ვერ გვინახავს, წაგვტაცეს
სანაპირო, იქეთა;
რუსმა, აფხაზეთიდან,
ფენი ამოგვიკეთა.

მოდგმა ჩვენი, მისეულთ,
ცოცხალი არ დანებდა;
ზღვა მათ თავ-ტანს, დაჩეხილს,
წითლად დააქანებდა.

ნუთუ სკვითებს შერჩები,
ჯალათობავ, აგეთო?!
გაცვედნდა მსოფლიო,
რა გინდა, რომ აკეთო?!

მონაჩმანარს, სიცრუეს —
ნურავინ ნუ გვატენის;
მრავლად გვყვანდნენ მაშინაც,
ქვეყნის მოლაღატენი.

საგლოვი არ გველევა —
მწუხარება, მარადი,
ტყვად გვაქციეს, გვიქცევენ —
ათას სატყუარათი.

გავინსენოთ, მწადია,
ძველი წესი შელოცვის —
ურჩხულს სისხლად დადინდეს
კოდვა საქართველოსი!

ემზარ კვიტიავილი



აფხაზების ყველაზე დიდი მტერი რუსეთია...

გვჭირდება დიადობი ქართველებთან!

აფხაზეთის მომავალი თავად აფხაზების ხელშია. ასე ვიტყვით, სულ რაღაც ორი წლის წინ — მანამ, სანამ ვითარება ელვის სისწრაფით დაიწყებდა გაუარესებას. და აქ ცხოვრების დაბალი დონე, მაღალი ფასები, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი რაოდენობის ზრდა და ტოტალური უკანონობა კი არ მაქვს მხედველობაში, მხედველობაში მაქვს სახელმწიფოს მომავალი, რომელსაც, ჩემი მოკრძალებული შეფასებით, მოსკოველი ბატონები მიზანმიმართულად ანადგურებენ.

პრობლემები ყოველთვის იყო. მხოლოდ ზარმაც ან საუბრობდა კორუფციამზე, გატაცებებზე, მკვლევარობაზე და მთლიანობაში საზოგადოების სისტემურ რღვევაზე. მხოლოდ რამა ჩელმა კი ყველა ამ მიმართულებით მთელი წინა პერიოდი გადაფარა. და თუ გემოაღნიშნულ პრობლემებთან ბრძოლა, ასე თუ ისე, ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო, ახლა, როდესაც რუსული სახელმწიფო მანქანა საქმეში მთელი ძალით ჩაერთო, აფხაზებს წინააღმდეგობის გაწევის სულ უფრო მცირე შანსები გვჩვენა.

მართლაც რომ ვთქვათ, ყველა ის შემთხვევითი პროგნოზი, რომელსაც ჯერ კიდევ წლების წინ ვაკეთებდი, გამართლდა. რუსმა მაღალჩინოსნებმა თავისი რეალური ზრახვების მალვას თავი დაანებეს და აფხაზეთის ტერიტორიის მიტაცებას შეუდგნენ. და თუ აქამდე ეს „მეგობრობისა და დახმარების“ საფარქვეშ კეთდებოდა, ახლა მუქარა და შანტაჟი ჩვეულ მოვლენად იქ-

ცა. ერთდღით, რაშიც აფხაზეთს უმართლებს, ისაა, რომ სხვა ადგილებსგან განსხვავებით, რუსები აქ ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგ იარაღს არ იყენებენ... ჯერ არ იყენებენ.

აფხაზური მიწების მისაკუთრების რუსული გეგმა ამჯერად სხვადასხვა საინვესტიციო პროექტების საფარქვეშ ხორციელდება, რომელთა შედეგად საუკეთესო ზღვისპირა (და არა მარტო) მიწები რუსული სახელმწიფოს საკუთრებაში გადადის. ამის მაგალითი, სამწუხაროდ, უკვე გვეხება: მიჭინთის სახელმწიფო აგარაკი, სოხუმის აეროდრომი, რუსული ტურისტული ანკლავები მიჭინთასა და გავრაში...

როცა ამის შესახებ ვწერდი და ხალხს კატასტროფის მოახლოების შესახებ ვაფრთხილებდი, ხელისუფლებამაც და ოპოზიციის ვაი-პატრიოტი ნაწილიც „რუსეთის ძმური სიყვარულისა“ და „რუს ხალხთან მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის“ შესახებ განცხადებებით მპასუხობდა. ახლა რას იტყვით, ბატონებო? ჯერ კიდევ გვყარათ იმ რუსების „ქველმოქმედების“, რომლებიც მილიარდებს გრუქნიდნენ და „სამუდამო ძმობას“ გეფიცებოდნენ?!

„სულ ვამბობდი, რომ რუსების ნდობა არ შეიძლებოდა, მოვეუწოდებდი, ყურადღება მიექციათ რუსი სამხედროებისა და სპეცსამსახურების წარმომადგენლების რაოდენობის ზრდისთვის, მაგრამ არავინ მისმენდა. ახლა გვერე მიხსენებს საკუთარ სიტყვებს და ნანობს, რომ არ დამიჯერა“ — ამბობს ჩვენი რესპონდენტი.

ჩვენი კიდევ ერთი თანამოსაუბრის — ალისას აზრით, რაც აფხაზეთში ხდება, ხელი-სუფლების გულგრილობის შედეგია — როგორც ყოფილის, ისე ამჟამინდელის, რომლებიც პირადი სარგებლის მისაღებად აფხაზეთს რუსეთს აბარებდნენ. „და რას ველოდით რუსებისგან, რომლებიც წლობით გვკვემბუდნენ?! ჩვენი ხელმძღვანელობები გამუდმებით ჩადიოდნენ მოსკოვში გაწვდილი ხელით და საკუთარი ჯიბების მილი-

ონებით ამოსაცემად რუსების ყველა პირობას თანხმდებოდნენ, ახლა კი ვალის გადახდა ჩვენ გვიწევს. რუსებს ფეხებზე კვიდიან აფხაზი ხალხი, მათ ჩვენი მიწა სჭირდებათ უჩვენოდ. აფხაზებსა და რუსებს შორის ძმობა, მეგობრობა და სიყვარული არასოდეს ყოფილა და არც მომავალში იქნება“ — დარწმუნებულია ალისა.

რუსეთში გამუდმებით გამოდიან მაღალი რანგის ჩინოსნები განცხადებებით, რომ აფხაზეთის კავშირები დიად დერეჟასთან კიდევ უფრო მჭიდრო უნდა გახდეს. ამ კონტექსტში ხან სსრკ-2-ს გვთავაზობენ, ხან საკავშირო სახელმწიფოს. ხოლო ამასწინათ ისიც კი განაცხადეს, „აფხაზეთში მოსახლეობის უმრავლესობა რუსეთის შემადგენლობაში შესვლაზე ოცნებობს“... წარმოდგენა არ მაქვს, ვის მიაქვს კრემლის დერეჟენებამდე აფხაზი ხალხის სახელით მსგავსი ბოღვა, მაგრამ ფაქტია, რომ ამას სიმართლესთან არაფერი აქვს საერთო. აფხაზები ამ ნაბიჯზე არც „მეგობრობის“, არც „ძმო-

ბის“, არც რაიმე სხვა „სოუსით“ წავლენ! გვერე მათგანი დიად აცხადებს, რომ საჭიროების შემთხვევაში იარაღსაც აიღებს ხელში, მაგრამ რუსების წინაშე თავს არ დახრის.

„რუსეთის შემადგენლობაში შესვლა გარდაუვალი სიკვდილია. და არა მარტო აფხაზეთის სახელმწიფოსი, არამედ თავად ჩვენი — აფხაზი ხალხისაც! რუსებმა იმდენად დაგვანჩეს საკუთარ „მოსიყვარულე მკლავებში“, რომ პირველად მრავალი წლის განმავლობაში, მოსახლეობამ დაიწყო ფიქრი ქართველებთან შეერივნაზე, როგორც გადარჩენის ერთადერთ შესაძლებლობაზე.

ერთ-ერთი მათგანი ომის ვეტერანი როლანდ აუიბაა, რომელიც მათგან აფხაზური კულტურული ცენტრის გახსნაში მონაწილეობისთვის ჩავიდა. ამ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ კი მას სხვა ვეტერანებმაც დაუჭირეს მხარი.

„დაიხ, ქართველებთან ომი გვექონდა, დაიღვარა გვერი სისხლი, მაგრამ იმ დროიდან გასული წლების განმავლობაში მათაც და ჩვენც გაეცინა გვერითი, რომ აუცილებელია მშვიდობა და მეგობრობა. ჩვენ გვჭირდება დიალოგი — დიალოგი არა რუსების შუამავლობით, არამედ პირისპირ. ქართველები აფხაზებს ჩვენს ენას, კულტურას... ეს რა, ცოტაა?! რუსებს კი ერთი მიზანი აქვთ — დაეპატრონონ ჩვენს მიწას, პირისპირ მიწის ალგვავონ ჩვენს და ჩვენი უძველესი ისტორიის ხსენებაც კი! მე პირადად მათ წინააღმდეგ მოლოდინი ვიზრდობ და ჩვენს სამშობლოს არ დაუვობო!“ — ამბობს ჩვენი რესპონდენტი ლამა.

მის აზრს ჩვენი სხვა თანამოსაუბრეებიც იზიარებენ. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ რუსები აფხაზეთს მხოლოდ პრობლემებსა და ტვივილს მოუტანენ, როგორც წარსულშიც არაერთხელ გაუკეთებიათ.

ისტორია აფხაზებს, როგორც ჩანს, არაფერს გვასწავლის, თუკი ამ დრომდე ვერ ამოვიცანით „ძმისა და მეგობრობის“ ნიღბის უკან აფხაზეთის ყველაზე დიდი მტერი.

კრიტიკა ავიძა





ბიჭვინთის ქართული ტაძარი რუსულ ყაიღაზე გადაღებეს, თეატრის სკამები დაამონტაჟეს და ლოცვის ნაცვლად მუსიკა ისმის!..

„მოძრაობა კულტურული მემკვიდრეობისთვის“ (საყდრისის კომიტეტი) კიდევ ერთხელ გამოთქვამს შეზღოვებას აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ქართული კულტურული მემკვიდრეობის განზრახ განადგურების ფართომასშტაბიანი პროცესის გამო.

„მოძრაობა კულტურული მემკვიდრეობისთვის“ აქტივისტებმა, გალის და ოჩამჩირის რაიონების შემდეგ, სექტემბერში, მთაწმინდის სოხუმში, გულრიფშის, გუდაუთასა და ბიჭვინთაში ძეგლების მდგომარეობის გასწავლა, ფოტო და ვიდეო მასალების გადაღება. აღვიღეთ ვითარების შესწავლა და კიდევ ერთხელ ცხადყოფილია, რომ აფხაზეთში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე მიმდინარეობს ქართული კვალის წაშლის ორგანიზებული პროცესი, რაც უნიკალური მემკვიდრეობის განზრახ დაზიანება-განადგურებასა და ისტორიული ფაქტების დამახინჯებაში გამოიხატება. განსაკუთრებით რთულ მდგომარეობაშია საერო, მათ შორის, საინჟინრო და საფორტიფიკაციო ძეგლები. მაგალითად, მესლეთის (მაგრატის) ციხე – V-XIV საუკუნეში ცხუმის ერისთავთა რეზიდენცია და იქვე, მდინარე მესლეთზე, მდებარე ე.წ. თამარის ხიდი, რომელმაც საც ჯაგნარი „ჭამს“. მეტიც, ხიდის მძიმე მდგომარეობის გამო, აღარ იკითხება ქართული ასომთავრული წარწერა – „ქრისტე მეუფეო, აღიდე ორთავე მიწასა შინა სუფევით უძლეველი მეფეთ-მეფე ბაგრატო“.

ზღვრის პროცესშია შარვაშიძეების სასახლე სოფელ ლიხინში (გულრიფშის რაიონი), რომლის შემორჩენილ კედლებს, ბუნებრივ პროცესებთან ერთად, ქვევში ამოსული ხე- მცენარეებიც ანადგურებენ. საუკუნეების მანძილზე შარვაშიძეების სასახლის სახელით ცნობილი ძეგლი დღეს „ჩაჩხას რეზიდენციად“ იწოდება (რასაც გალავანზე გაკრული დაფაც მოწმობს).

განსაკუთრებით შემამოთხრებელია X-XI საუკუნეების ბიჭვინთის უნიკალური ტაძრის მდგომარეობა, რომელშიც ამჟამად საკონცერტო დარბაზია მოწყობილი (?), რის შედეგადაც, მკერითი ტალღების არასათანადო რეგულაცია

კერ კიდევ შემორჩენილი კედლის მხატვრობის და მოზაიკის ფრაგმენტებისთვის მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს. ქართული კვალის წაშლის პროცესი მიმდინარეობს სოხუმის ე.წ. ეროვნულ მუზეუმშიც, სადაც ქართველ მეფეთა ფრესკების ასლები შესაბამისი ინფორმაციის გარეშე წარმოადგენილი, ასევე, ქართული კულტურული მემკვიდრეობის სხვა არტეფაქტებსაც არ ახლავს სათანადო აღწერლობა.

„მოძრაობა კულტურული მემკვიდრეობისთვის“ ჯერ კიდევ 3 მაისს, საგანგებო წერილით მიმართა ლურჯი ფერის საერთაშორისო წარმომადგენლობას და ICOMOS-ს, რა დროსაც, მოპოვებულ მასალებზე დაყრდნობით, მოუწოდა მათ, ემოქმედათ ომის დროს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვის შავის 1954 წლის კონვენციის შესაბამისად და მეტი ყურადღება და აქტიურობა გამოეჩინათ აფხაზეთში ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გადასარჩენად.

„მოძრაობა კულტურული მემკვიდრეობისთვის“ კიდევ ერთხელ მოუწოდებს საკანონმდებლო ორგანოს – საქართველოს ხელისუფლებას – და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას, ასევე, აკადემიურ წრეებს, გამოიყენონ მათ ხელთ არსებული მერკეტები და ჯერ კიდევ არსებული კვანძები მეორე მხარესთან, აფხაზეთში ქართული კულტურული მემკვიდრეობის ნგრევის დაუყოვნებლივ შესაჩერებლად.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომლის შემორჩენილ კედლებს, ბუნებრივ პროცესებთან ერთად, ქვევში ამოსული ხე- მცენარეებიც ანადგურებენ. საუკუნეების მანძილზე შარვაშიძეების სასახლის სახელით ცნობილი ძეგლი დღეს „ჩაჩხას რეზიდენციად“ იწოდება (რასაც გალავანზე გაკრული დაფაც მოწმობს).

პარლამენტის თავმჯდომარე რუმინეთის პრემიერ-მინისტრს უხვდა

საპარლამენტო პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი რუმინეთის პრემიერ-მინისტრ მარჩელ ჩოლაკუსს შეხვდა. შეხვედრაზე დადებითად შეფასდა საქართველოსა და რუმინეთს შორის ურთიერთობების მზარდი დინამიკა.

შალვა პაპუაშვილმა რუმინულ მხარეს მადლობა გადაუხადა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის, ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებების მხარდაჭერისთვის.

შეხვედრაზე განიხილეს საქართველო-რუმინეთის ორმხრივი ურთიერთობები ეკონომიკისა და ვაჭრობის, ასევე ენერჯეტიკის სექტორებში. რუმინეთის პრემიერ-მინისტრის თქმით, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა ორ ძირითად მიმართულებაზე, – უსაფრთხოებასა და ეკონომიკაზე უნდა იყოს კონცენტრირებული. ამ მხრივ კი, საპარლამენტო დიპლომატიის როლი მზარდია. შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა ორი ქვეყნის მნიშვნელოვან გეოგრაფიულ მდებარეობაზე, რომელიც ამჟამინდელ გეოპოლიტიკურ ვითარებაში სწორად უნდა იყოს გამოყენებული. მხარეებმა ხაზი გაუსვეს საქართველო-რუმინეთს შორის სამხრეთ-დასავლეთის, აგრეთვე, ერთობლივი პროექტების მნიშვნელობას შავი ზღვის დაკავშირებადობისა და ევროპის ენერგოამოუკიდებლობის ხელშეწყობის მიზნით.



საქართველოს პარლამენტის ინფორმაციით, კომიტეტმა შეისწავლა წარმოდგენილი განაცხადი თანდართულ დოკუმენტაციისთან ერთად და დაადგინა, რომ ის სრულად შეესაბამება პარლამენტის რეგულაციების მოთხოვნებს. პოლიტიკურ ჯგუფში, რომლის სახელწოდებაც „ეროვნული და დემოკრატიული საქართველოსთვის“ ორი დეპუტატი – ნიკა მაჭუტაძე და ბაჩუკი ქარდავა გაწევრიანდა. კომიტეტმა მიზანშეწონილად მიიჩნია საპარლამენტო პოლიტიკური ჯგუფის რეგისტრაცია, რასაც კენჭისყრით დაუჭირეს მხარი.

ქაბა ქალაქი: მთელი „სანასპითი“ ლაჟვობა იმაზე, რომ პარკითილში მღვდარე მინის ნაკვეთი ერთი პარტიული პარტი ლარად გადაიქცეოს ილია ნუღაიას, რაც ბინძური ტყუილი იყო!

სიმართლეს არ შეესაბამებოდა ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს მუნიციპალიტეტმა ვარკეთილის მესამე მასივში არსებული მიწის ნაკვეთი სამშენებლო კომპანია „არქიმ“ დამფუძნებელს, ილია ნუღაიას ერთ ლარად გადაეცა, – ამის შესახებ დედაქალაქის მერმა, კახა კალაძემ ავარიულ კორპუსებში მცხოვრები ოჯახებისთვის საცხოვრებელი ფართების გადაცემის შემდეგ განაცხადა.

კახა კალაძემ განმარტა, თუ რა გარემოებებში აიღო დეველოპერულმა კომპანია „არქიმ“ აღნიშნული პროექტის განხორციელების ვალდებულება, რომლის შედეგადაც, დედაქალაქის მუნიციპალიტეტმა 24 მილიონი ლარის ქონება მიიღო.

პარკითის პარკითის: მოქალაქეობის შეწყვეტის შემთხვევაში, კანონის მიხედვით, პარკითის მინის ნაკვეთი ერთი პარტიული პარტი ლარად გადაიქცეოს ილია ნუღაიას, რაც ბინძური ტყუილი იყო!



პარკითის მოქალაქეობის შეწყვეტის შემთხვევაში, კანონის მიხედვით, პრეზიდენტს აქვს სამი თვის ვადა მრძანებულების გამოსაცემად, – ამის შესახებ პრეზიდენტის აღმინისტრაციის განცხადებაშია აღნიშნული.

„საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მიზნით ვრცელდება არასწორი ინფორმაცია. განმარტავთ: ერთ შემთხვევაში პირი ითხოვს მოქალაქეობის მინიჭებას, შენარჩუნებას ან მოქალაქეობიდან გასვლას. ამ მოთხოვნაზე იუსტიციის სამინისტროს უარყოფითი დასკვნის პრეზიდენტისთვის წარდგენიდან 7 დღეში ივსლება, რომ მოქალაქეს ეთქვას უარი, პრეზიდენტი აქვს არ გამოსცემს. მეორე, ანუ მოქალაქეობის შეწყვეტის შემთხვევაში, კანონის მიხედვით, პრეზიდენტს აქვს სამი თვის ვადა მრძანებულების გამოსაცემად“.



შალვა პაპუაშვილმა რუმინეთის პრემიერ-მინისტრს ევროკავშირისა და ნატო-ში გაწევრიანების კუთხით საქართველოს პროგრესი გააცნო და რუმინეთის შემდგომი მტკიცე მხარდაჭერის მიღების იმედი გამოთქვა.

მარჩელ ჩოლაკუსმა აღნიშნა, რომ რუმინეთი გულთხელმადეობს საქართველოს და გააგრძელებს მის მხარდაჭერას ევროკავშირისა და ნატოში გაწევრიანების გზაზე. მან მოუწოდა ქართულ მხარეს, მაქსიმალურად გამოიყენოს რუმინეთის რესურსი საქართველოს პროგრესის ხელშეწყობად.

შეხვედრას საქართველოს მხრიდან, პარლამენტის თავმჯდომარესთან ერთად ესწრებოდნენ დევედაცისი წევრები, დეპუტატები: დავით სონღულაშვილი, ისკო დასენი, გენრიეტა ჩიჩავა, ევატერინე სეფაშვილი და საქართველოს ელჩი რუმინეთში თამარ მერუაშვილი.

შალვა პაპუაშვილი: სტატუსზე უარის თქმის მიზეზი არ არსებობს!

მას შემდეგ, რაც ბევრმა გააცნობიერა, რომ შარვან, იგნისში მიღებული გადაწყვეტილება იყო როგორც სტრატეგიული, ისე პოლიტიკური შეცდომა, ვფიქრობ, ამის გააზრებით, წელს სხვა პასუხისმგებლობით მიუღებია ევროკავშირი სტატუსის მინიჭების საკითხს, – ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარე, შალვა პაპუაშვილმა რუმინეთში, ურნალის-ტეტთან განაცხადა.

„არანაირი მიზეზი სტატუსის არმინიჭების არ არსებობს. თუ ვინმეს უნდა სამაგი მობეზნოს, ყოველთვის შეძლებს მოძებნოს. ამიტომ მნიშვნელოვანია ამ პასუხისმგებლობით მოქმედება. ამიტომ გვაქვს შეხვედრები ევროკავშირის წევრი ქვეყნების წარმომადგენლებთან. ყველგან გვაქვს მხარდაჭერა. ვნახოთ, იმედია, წელს სამართლიანი გადაწყვეტილება იქნება მიღებული“.

დაამტკიცეს ორკანონი პოლიტიკური ჯგუფი

პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის სხდომაზე ახალი პოლიტიკური ჯგუფის რეგისტრაციის თაობაზე იმსჯელეს.

კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილის, ირაკლი შატაკიშვილის განცხადებით, პარლამენტის წევრებმა ნიკა მაჭუტაძემ და ბაჩუკი ქარდავამ საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტს მიმართეს პოლიტიკური ჯგუფის რეგისტრაციასთან დაკავშირებით.



ლაონიდა ოკლაი - შესანიშნავი სამეცნიერო სკოლის შემქმნელი

ნობდა. გარდა ამისა, თხოვნა მოულოდ-
ნელი იყო და წარმოიდგინეთ, რა ძნე-
ლი იყო ამხელა ფორუმზე და ამ უმნიშ-
ვნელოვანეს საკითხზე მოუზღვევად გა-
მოსვლა. დარბაზმა თვალი გაადევნა ამ
უცნობ, წარმოსადგე კაცს. დადგა ტრი-
ბუნასთან, ლელავდა, მცირე პაუზა და ოკ-
ლაიმ მშვიდად დაიწყო და ამ სამუშაოთა
ძირითადი კვანძების ურთიერთშედარე-
ბით ბრწყინვალედ დაასაბუთა რუსთაველ-
თა სამუშაოს რეალური უპირატესობა. რა
თქმა უნდა, ამ გამოხვლას არ გადაწყვე-
ტია ლენინური პრემიის რუსთაველთათვის
მინიჭების ბედი, მაგრამ დარბაზში კა-
მათი ამ საკითხზე შეწყდა.

თუმცა, თავად ლიონიდასთვის ზოგი მა-
მაკაცური „სისუსტეც“ არ იყო უცხო. უყ-
ვარდა ლამაზი ქალების საზოგადოება,
ახლო მეგობრებთან სუფრასთან ჯდო-
მა. ბატონ ლეონიდეს მშვენიერი ოჯახი
ჰქონდა. ცოლად ჰყავდა მუდამ ღიმილი-
ანი, სათნო, მოხდენილი ივეტა ბახტა-
ძე, მუსიკოსი, პოპულარული პედაგოგი.
მისი აღზრდილია ცნობილი პიანისტი, ამ-
ჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებში
მოღვაწე პროფესორი ეთერ ანჯაფარიძე.
მისი ქალიშვილის, მარიაშვილის ვაჟი ცნო-
ბილი კალათბურთელი სანდრო მამუკე-
ლაშვილია, ხოლო მეორე ვაჟი - და-
ვითი ნიუ-არკის აკადემიის უმაღლესი სკო-
ლის ფილოსოფიის პროფესორია.

ასევე წარმატებული იყო ბატონი ლე-
ონიდეს უფროსი ვაჟის, ტექნიკის მეცნი-
ერებათა დოქტორ ანატოლი ოკლაის საქ-
მიანობა. ამჟამად ანატოლის ვაჟები ამ-
ერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრო-
ბენ. გიორგი ოკლაი - მსოფლიო მამ-
ტაბის კომპოზიტორ-პიანისტი. ნიკოლოზ
ოკლაი მოღვაწეობს კალიფორნიის შტატში
ერთ-ერთი ფირმის გენერალურ დირექ-
ტორად. ჰყავს ორი შვილთაშვილი, ან-
ატოლი ოკლაისგან - ალექსი ოკლაი და
ელენე ოკლაი, რომლებიც ამერიკაში სტუ-
დენტები არიან, ერთი ინფორმატიკისა და
მეორე - ფსიქოლოგიის მიმართულებით.

**კოლეგებს ლეონიდა ოკლაი ყო-
ველთვის გავგახსენდება მოწაფეებით,
კოლეგებთან, ახალგაზრდებთან გა-
რემოციონირებით. გავგახსენდება, რო-
გორც კაცი, რომელიც დაუმარტოვებლად
გასცემდა ცოდნას, ასხივებდა სიკე-
თეს. იყო დახვეწილი გემოვნების,
კარგი მექანთურლე, შესანიშნავი პე-
დაგოგი და მეგობარი, სპორტსმენი
და ბოლოს, ბრწყინვალე თამადა...**

**ამა წლის 28 სექტემბერს 100 წე-
ლი შეუსრულდებოდა შესანიშნავ მეც-
ნიერს და ინჟინერ-მეტალურგს, ტექ-
ნიკის მეცნიერებათა დოქტორს, მეც-
ნიერების დამსახურებული მოღვაწეს,
საქართველოს მეცნიერებათა აკად-
ემიის წევრ-კორესპონდენტს, პრო-
ფესორ ლეონიდე ოკლაის.**

იგი დაიბადა 1923 წელს თბილისში,
მოსამსახურის ოჯახში. 1940 წელს, სკო-
ლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა სა-
ქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში
მექანიკის ფაკულტეტზე. პრობოთი საქ-
მიანობა დაიწყო 1944 წლიდან. სხვადას-
ხვა წლებში მუშაობდა საქართველოს პო-
ლიტექნიკურ ინსტიტუტში ლაბორანტად,
შემდეგ მეტალურგიის ფაკულტეტის დე-
კანად, ლითონთა წნევი და მუშავების
კათედრის პროფესორად, შრომით საქ-
მიანობას ეწეოდა რუსთავის მეტალურ-
გიულ ქარხანაში. 1980 წლიდან იყო სა-
ქართველოს მეცნიერებისა და ტექნიკის
კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.
ყველგან, სამეცნიერო თუ მასთან და-
კავშირებულ მაღალ ადმინისტრაციულ
ასპარეზებზე ლ. ოკლაი გამოირჩეოდა, რო-
გორც ადამიანების მიმართ უაღრესად კე-
თილგანწყობილი, დამოუკიდებლად მო-
აზროვნე და პრინციპული, პროფესიონ-
ალი, შესანიშნავი სამეცნიერო სკოლის
შემქმნელი.

ლ. ოკლაი ექსპერიმენტის დაგეგმვისა
და მართვის უმაღლეს სპეციალისტი იყო.
მისი ხელმძღვანელობით რუსთავის მე-
ტალურგიულ ქარხანაში მიღების ხარისხის
ამაღლების მიზნით ჩატარდა ფართო მას-

შტაბის და მაღალი საიმედობის უნიკალური
ექსპერიმენტი, რომელმაც მოიცვა მეტა-
ლურგიული ქარხნის ტექნოლოგიის სრუ-
ლი სპექტრი. ექსპერიმენტი მიმდინარე-
ობდა ოცდაოთხი საათის განმავლობაში
შეუწყვეტლად, ზაფხულის სიცხეებსა და
გვიანი შემოდგომის დამის სიცივეებში. მო-
ბილიზებული იყო ქარხნის ინჟინერ-ტექ-
ნიკური პერსონალის დიდი ჯგუფი და მე-
ტალურგიის ინსტიტუტის ახალგაზრდა მეც-
ნიერები. ბატონი ლეონიდე, როგორც რი-
გითი წევრი, ცვლებში მუშაობდა, ხშირად
გაზეთილი და ქარხნის მტვერში ამოგან-
გლული, მაგრამ მუდამ მხნე და ყველას-
თვის მაგალითის მიმცემი იყო.

ამ პერიოდში თვალნათლივ გამოჩ-
ნდა, რომ მ-ნ ლეონიდე ოკლაი უაღრესად
მორიდებული პირივნება გხლდათ, შე-
ეძლო საქმის საჭიროებიდან გამომდინ-
არე, ადამიანთა კონსოლიდაცია და მათი
ერთი საქმისათვის დარაზმვა. ის არ იყო
ხმაურიანი, ძმაკაცების ფართო წრით გა-
შემორტყმული, ვიდაცისგან დავალებუ-
ლი, ვიდაცისთვის ხმამაღლა დავალებ-
ვის მიმცემი. პირიქით, იყო საოცრად მო-
რიდებული, შეიძლება ითქვას, მორცხვი
ადამიანი და ამავდროულად გააჩნდა ლი-
დერის და ორგანიზატორის დიდი პოტენ-
ციალი. მისი ხელმძღვანელობით შესრუ-
ლებული სამუშაოს შედეგები არა მარ-
ტო რუსთავის, არამედ ყოფილი საბჭოთა
კავშირის რამდენიმე მეტალურგიულ ქარ-
ხანაში დიდი წარმატებით დაინერგა.

კიდევ ერთი მაგალითი იმისა, თუ რო-
გორი მომნუსხავი ზემოქმედების უნარი
გააჩნდა ლეონიდე ოკლაის შეუვალ და
დასაბუთებულ სიტყვას ერთდროულად
მევერ ადამიანზე:

სამოციანი წლების დასაწყისში დნეპ-
როპეტროვსკში მიმდინარეობდა მეტა-
ლურგ - მგლინავთა საკავშირო კონფე-
რენცია, რომელსაც ამ დარგის მთელი
ელიტა ესწრებოდა. სწორედ ამ პერიოდში
რუსთაველ მეტალურგთა ჯგუფი აგრეგატ
400-ზე გლინვის პროცესის ავტომატიზა-
ციისთვის წარდგინდა ოქნა ლენინურ პრე-
მიაზე. ლენინურ პრემიაზე იყო წარდგე-
ნილი აგრეთვე დნეპროპეტროვსკის ერთ-
ერთი მეტალურგიული ქარხანა, რომელ-
საც იგივე პრიზიზება ჰქონდა გადაწყვე-
ტილი, ოღონდ სხვა მეთოდით. მუწებრივია,
ეს საკითხი კონფერენციაზე წამოიჭრა. ისიც
მუწებრივია, რომ იქ დამსწრეთა უმრავ-
ლესობა მონდომებული იყო მეტალურ-
გებისთვის გამომზდილი პირველი ლენინური
პრემია მიეღოთ რუსებს და არა ქართვე-
ლებს. ტრიბუნიდან მაღალი ავტორიტე-
ტის პერსონები აქტიურად უჭერდნენ მხარს
დნეპროპეტროვსკელთა პროექტს. ქარ-
თველთა სამუშაო ფერმკრთალეობდა.
რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დი-
რექტორი, ბატონი სოლომონ შარაშენიძე
დაიხარა ოკლაისაკენ და დაუთხრა - (ლი-
ონია, მიჭო, გადი და დაიცავი ჩვენი სა-
მუშაო). ლეონიდე ოკლაის მამინ მეტა-
ლურგთა მხოლოდ შემდეგული წრე იყ-

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ფ. თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი



თსუ-ში თანამედროვე საზღვაო სამართლის საკითხებზე საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს სპეციალ-
ური მოწვევით საერთაშორისო საზღვაო სამართლის
აკადემიის დირექტორი პროფესორი ნორმან მარტი-
ნეს გუტიერესი ეწვია, რომელმაც მონაწილეობა ენ-
თომზღვე საერთაშორისო კონფერენციაში მიიღო.
კონფერენცია, რომელიც ქართული საერთაშორისო
სამართლის სკოლის დამაარსებელს, აკადემიკოსის ლევან
ალექსიძის ხსოვნას მიეძღვნა თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ორგანიზებით, საერთაშორისო საზღვაო
სამართლის ინსტიტუტისა (IMO, IMLI) და ბათუმის სა-
ხელმწიფო საზღვაო აკადემიის ჩართულობით გაიმარ-
თა. კონფერენციის მონაწილეებს თსუ რექტორის მო-
ადგილე, პროფესორი ნინო გვენეტაძე მიესალმა.
საერთაშორისო კონფერენციაზე მეცნიერებმა და დარგის

ექსპერტებმა თანამედროვე საერთაშორისო საზღვაო სა-
მართლის ნორმებისა და ეროვნული ნორმების ურთიერ-
თიმართების საკითხებზე იმსჯელეს. ღონისძიების ფარგლებში,
სპეციალური მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობა მი-
იღო საერთაშორისო საზღვაო სამართლის აკადემიის დი-
რექტორმა, პროფესორმა დოქტორი ნორმან ა. მარტინეს
გუტიერესმა. დამსწრე საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვის
თსუ იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა, თამარ ზარანდი-
ამ, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგი-
ლე, ხათუნა თოთლაძემ და ბათუმის სახელმწიფო საზღვაო
აკადემიის რექტორმა მურთაზ ღვებაძემ მიმართეს.

ღიას, ქართული ენა გვაპირთინებს!

საქართველოს ეთნიკურად და კულტურულად მრავ-
ალფეროვან საზოგადოებაში სახელმწიფო ენის ცოდნის
ამაღლების საკითხის განსაკუთრებული მნიშვნელობი-
დან გამომდინარე, სახელმწიფო მინისტრის აპარატის
ინიციატივით და განათლებისა და მეცნიერების სამი-
ნისტროს ფინანსური მხარდაჭერით მრავალკომპონენ-
ტიანი და ფართომასშტაბიანი კამპანია სახელწოდებით
- „ქართული ენა გვაერთიანებს“ დაიწყო.
კამპანიის მთავარი მიზანია, განსაკუთრებით ეთნიკური
უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში, არ-
აქართულენოვანი მოსახლეობის სახელმწიფო ენის შესწავლის
მნიშვნელობასა და არსებულ შესაძლებლობებზე ცნობიერების
ამაღლება და სახელმწიფო ენის პოპულარიზაცია.
„სახელმწიფო ენა ინტეგრაციის მხარდასაჭერად“ პირ-
ველი რიგის და ყველაზე მნიშვნელოვანი პრიორიტეტია
სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელ-
მწიფო პოლიტიკის ფარგლებში, რომლის განხორციე-
ლება შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სა-
კითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ხელმძღვა-

ნელობითა და კოორდინირებით მიმდინარეობს.
სახელმწიფო ენის შესწავლის მრავალფეროვანი შე-
საძლებლობები: სპეციალური პროგრამები და პროექ-
ტები განათლების ყველა საფეხურზე - როგორც სკო-
ლადღელო, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი, ასე-
ვე მრავალფეროვანი განათლების მიმართულებით, კამპანიის
- „ქართული ენა გვაერთიანებს“ ფარგლებში, წარმო-
დგენილია მასობრივი კომუნიკაციის თითოეული საშუალებით;
მომზადდა ვიდეორგოლები, როგორც სატელევიზიო ასევე
ციფრული ფორმატებისთვის, თბილისსა და ეთნიკური
უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებულ რეგიონებში გან-
თავსდა თემბატური ბილბორდები, ბანერები და პოსტერ-
ები. ასევე, ადგილობრივ ტელევიზიებში განთავსდა ორ-
ენოვანი ვიდეორგოლები; მოსახლეობაში დანიშნულია სა-
ინფორმაციო ბროშურები, როგორც ქართულ, ასევე სომხურ
და აზერბაიჯანულ ენებზე.

პირველ კლასში უმსკლესო ასაკი მსიკრება

ბანათლუშისა და მეცნიერების მინისტრი გიორგი ამ-
ილახვარმა განაცხადა, რომ სკოლის ინფრასტრუქტურის
გაუმჯობესება-მატეხასთან ერთად, სკოლაში პირველკლას-
სელთა მესვლა ყოველ წელს ერთი თვით გადაიწყვე-
ს.



„შემდეგ სასწავ-
ლო წელს სკოლაში
მესვლა შეეძლება,
1 დეკემბრამდე გა-
ზადადებულ მავშვებს.
კიდევ შემდეგ წელს
კი 31-დეკემბრამდე
დაზადადებულ მავ-
შვებს.“ - ამბობს გი-
ორგი ამილახვარი.

მძივით ვითარება



ყარაბაღში ომი არ დასრულდა!!!

გაეშვა არმუში: ყარაბაღის მოვლენების ერთ დღეში დასრულება იყო პოლიტიკური თამაშის ნაწილი, ომი გეოპოლიტიკურ ლობიკაში შედის

– „სტრატეგია აღმაშენებლის“ თავმჯდომარე გიორგი ვაშაძე ამბობს, რომ თუკი საჭირო იქნება, პოლიტიკურმა პარტიებმა ხელისუფლების წინააღმდეგ ყველახარის მერკეტებზე უნდა გამოიყენონ. იგივე გაიმეორა მოგვიანებით მიხეილ სააკაშვილმა. ხელისუფლებაში ამბობენ, რომ ოპოზიციას რეველაციური გეგმა წამოსცდა და სწორედ ამაზე საუბრობდა სუსი რამდენიმე დღის წინ.

გაგონო მამუკა, როგორ ფიქრობთ, რა სცენარს ამუშავენ ოპოზიციას?

– რაც თავი მახსოვს და რაც ჩვენს ქვეყანაში ოპოზიციის ცნება გაჩნდა, ყოველთვის იმაზეა ეს ხალხი ორიენტირებული, რომ როგორმე ხელისუფლება შეცვალონ – აქციების ორგანიზება და შემდეგ ხელისუფლების შეცვლა. აქ ფორმებია განსხვავება, რადგან თავის დროზე, ჩვენი პროტესტის მიზანი ცვლილებების დაწყება იყო. თუმცა არის ასევე მეორე ვარიანტი, როცა ხელისუფლების შეცვლა აუცილებელია. ჩვენ ასევე ყველა კარგად ვიცით, რომ ოპოზიციის უკან ყოველთვის დგას მესამე ძალა, რომელიც არ წარმოადგენს ჩვენს სახელმწიფოს და ქვეყანას. ეს ხან რუსეთი იყო და ხან დასავლეთი. დღევანდელი მოცემულობით ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ოპოზიციის უკან უკვე მესამე ძალაა ჩართული. მე იარაღით რეველაციის დაწყების მიზანს და მანაც არ მჯერა, მაგრამ მდგომარეობის პროგნოზირებისთვის გარკვეული ჯგუფები ნამდვილად არის შექმნილი. მაქვს ინფორმაცია, რომ სხვადასხვა ტიპის ჯგუფები ამ საქმისთვის ემზადებიან და მათ მიზანს ხელისუფლების დამხობა წარმოადგენს. მე არ ვამბობ იარაღი იქნება გამოყენებული, თუმცა ვითარების პროგნოზირების მოლოდინი მაქვს.

– ხელისუფლება ამბობს, რომ ეს ჯგუფები სწორედ კანდიდატის სტატუსზე უარს მიღებს ელოდებიან. ასევე, პოლიტიკის ერთ-ერთ სოფელში ქართველი ახალგაზრდების ჯგუფის მომზადებაზე ხდება იმისთვის, რომ აქციების და დაპირისპირების დროს იყოფიან, როგორ უნდა იმოქმედონ. ამ ჯგუფების ხელმძღვანელად სახელდება უკრაინაში მებრძოლი ქართველების ნაწილი. რა სახის სცენარზე საუბრობს სუსი?

– არ მაქვს ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ უკრაინაში მებრძოლი ქართველები აქ დაბრუნდნენ აბიჩენენ. იქ მებრძოლი ქართველების უმრავლესობა სულ სხვა მიზნით იმყოფება და ნამდვილად ძალიან ბევრი ღირსეული მებრძოლია, რომლებიც უკრაინელებს ეხმარებიან. თუმცა, იქ არის გარკვეული ჯგუფი, რომელთაც პოლიტიკური ამბიციები გააჩნიათ. ეს ჩანს კიდევაც სოციალურ ქსელებში. ისინი ამ მუქარას ღიად, ვიდრე ომის სახითაც ავრცელებენ. აქ კონკრეტულად აღნიშნულია საუბარი. რაც შეეხება პოლიტიკურ არსებულ მანკებს, ეს არ ვიცი. ვიცი, რომ ქალაქ ლოვთან არის რაღაცა მანაკი მოწყობილი და იქ 20-მდე ქართველი ახალგაზრდა წერთან გადის. ეს ახალგაზრდები იქ სამრძოლველად არ არიან ჩასულები. ისინი სწორედ მსგავს სიტუაციებში, რასაც აქციების მოწყობა ჰქვია, ამ გამოცდილების მისაღებად იმყოფებიან. ასწავლიან, როგორ უნდა მართონ მასობრივი აქციები.

– უკრაინა ამ ვითარებაში რა ფორმით არის ჩართული? მუდმივად გვესმის ხელისუფლების მხრიდან, რომ უკრაინის ზოგიერთი მაღალჩინოსანი ცდილობს „ნაციონალური მოძრაობის“ დახმარებას, რათა ისინი ხელისუფლებაში დაბრუნდნენ,

საქართველოში ჰყავდნენ მოკავშირე, რომელიც მეორე ფრონტს გახსნის. რამდენად რეალურია ხელისუფლების ეს განცხადება?

– ხელისუფლებამ რომ არ თქვას, ფაქტია, რომ ზოგიერთი უკრაინელი მაღალჩინოსანი სიტუაციის პროვოცირებას ცდილობს და ეს ღიად მათი განცხადებებიდანაც კარგად ჩანს, ვგულისხმობ არაბაზიას, პოდოლიაუსს და სხვებს. უკრაინელი ჩინოვნიკების ელიტის ზოგიერთი წარმომადგენელი ნამდვილად გულშემატკივრობს ჩვენს ოპოზიციას და ეს ნათელია. რაც შეეხება მეორე ფრონტის გახსნას, აქ არის ელემენტარული ლოგიკა, რომლის დანახვაც ჩვენს ზოგიერთ პოლიტიკოსს არ სურს. ყველა კარგად იცის, რომ რუსეთთან დაპირისპირებულ პოლიტიკურ ძალებს დასავლეთში სურდათ, რომ რუსებს რაც შეიძლება მეტი ფრონტი ჰქონოდათ გახსნილი. ყარაბაღის მოვლენები თუ გვერდია, რომ ერთ დღეში დასრულდა, დიდი შეცდომაა.

სომხებს ერთ დღეში უარი არაფერზე უთმობთ. ის იყო პოლიტიკური თამაშის ნაწილი, სადაც დიდი მოთამაშების ინტერესები ერთდროულად დაემთხვა. თუმცა ყარაბაღის ომი არ დასრულდა. ამიტომ რამდენიმე აზრით, გეოპოლიტიკურ ლობიკაში შედის. ის არის რუსეთისთვის პრობლემატიკური შემთხვევა. ბარაკ ობამა, მასული წლის გაზაფხულზე, თამაშ რუსებსაც აფხაზედაც, რომ პროვოცირება მოეხდინათ საპარტიკულოში, სამხრეთ კავკასიაში და ყარაბაღში. დაწყებული იყო არაბული, რათა ის ყველა პრობლემატიკურ დროულად მოემთხვეოდა. ჩვენი კარგად იცოდა ცნობილი, ვინ იყო ამ დღის აბორტი რუსეთშიც და დასავლეთშიც. 4 მარტს მი თამაშ ვიწინააღმდეგობა ვიხდებოდი შეხვედრებში, სადაც მოინდობა ნიად-ბაი იმის თაობაზე, შიქლავაზე თუ არა საპარტიკულოში მიმართ ვიწინააღმდეგობა. მიტის თამაშ, რა თქმა უნდა, არ შეიძლება.

– ამერიკის მიერ ყოფილი პროკურორის ოთარ ფარცხალაძისთვის დაწესებულ სანქციებზე მინდა გკითხოთ. ოპოზიციას ამბობს, რომ ფარცხალაძე არის დასაწყისი და შესაძლოა, ამ სანქციების სიაში ქართველი პოლიტიკოსებიც ვიხილოთ. ამასთანავე ხელისუფლება ითხოვს მტკიცებულებებს, რის გამო მოხდა მისი დასაწესებულება. ოპოზიციას ამბობს, რომ



ის, რომ ფარცხალაძე ჩემთვის არა სიმბოლური ფიგურაა, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქვეყნის ინტერესები ფარცხალაძის თემას შეეწიროს

ამერიკაში მყოფ ღარიბაშვილს ამ მტკიცებულებებს უკვე გააცნობდნენ. თქვენი მოსაზრება როგორია, რატომ შეინარჩუნა ფარცხალაძე და ამით ხელისუფლებას რა სახის შეტყობინება გამოუგზავნეს?

– არაფერია გამოიხილები, შესაძლოა, სია გაიზარდოს. თუმცა ამ შემთხვევაში ხელისუფლების პოზიციას ვეთანხმები. როცა ასეთ მრავალფერადაა აყენებ, აუცილებლად მტკიცებულებები უნდა წარმოადგინო. ის, რომ ფარცხალაძე ჩემთვის არასიმბოლური ფიგურაა, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქვეყნის ინტერესები ფარცხალაძის თემას შეეწიროს, გინდა ერთი მხრიდან და გინდა მეორე მხრიდან. აუცილებელია მტკიცებულებები. ის, რომ ფარცხალაძეს რუსეთთან კავშირი აქვს, არაფერს ნიშნავს, რადგან მე შემოძლია ანა ერთი ოპოზიციური ლიდერი დადასახელო, რომელსაც რუსეთთან კავშირი დღემდე აქვთ. ოპოზიციის ლოგიკით თუ ვიხილდებოდა ვიხილდებოდა, საშუალო მიზნისკენ ვერ გვექნება, თუ იქნა სპეცსამსახურებთან არ ხარ კავშირში. სულ მცირე, ერთი მსხვილი ოპოზიციონერი შემოძლია დავასახელო, რომელსაც სერიოზული მიზნები აქვს რუსეთში. მგონია, ფარცხალაძის შემთხვევაში ეს არის ერთგვარი გამაფრთხილებელი უწყისი, რომ ჩვენ ბევრი რამე ვიცით და არ ვამბობთ. ან მეორე, ჩვენ გვეჩვენება ასეთი დემარში. შესაძლოა, არაფერი გვაქვს, მაგრამ ამ კაცის ბიოგრაფიის მეშვეობით დისკომფორტს შეგვიქმნით. თავისთავად, ეს ქვეყანას ძალიან აზიანებს. თორემ, ასე, საქართველოში იმდენი ავენტია (და არა მარტო რუსეთის), რომ ვერც დათვლით!..

ესაუბრა ლიკა ბერიკაშვილი



საქართველო თითქმის გასოფხავილი რუსეთისთვის საიგალო არ ყოფილა!

დავით ქარტიანი: რუსეთის მიერ რამდენიმე დღის წინ გამოქვეყნებული ინფორმაციით, სავაჭრო ოპერაციებში მონაწილეობისთვის დასაშვავი ქვეყნების რიგში არის სომხეთი, აზერბაიჯანი და არ არის საქართველო!



...საქართველოში მეორე ფრონტის გახსნის აკვიტებულმა იდეამ, ამ ეტაპზე ყოველ შემთხვევაში, კნახი განიცადა. ჩვენ ვემზადებით ხელისუფლების აყირავების მორიგი ფაზისთვის, მზად ვართ ამისთვის და დარწმუნებული ვართ, ესეც კნახით დასრულდება ამერიკისთვის. მაგრამ ახლა გაჩნდა ენეგანი, სომხეთი, რომელიც მიკოლორდის ზონის ფუნქციას ატარებს მთლიანად კავკასიის რეგიონის ასაფეთქებლად. მაგრამ,

კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ჩვენ არ ვართ ამ გლობალური ომის პარტიდან გამომდინარე საფრთხეებიდან არავისთან ერთობა. ჩვენ გვყავს სტრატეგიული პარტნიორი, რომელმაც პრემიერ-მინისტრის ჩინეთში პომპეზური ვიზიტისას, თავად გააკეთა არჩევანი და მკაფიოდ გვითხრა, რომ კარგად ვიცით რა სინთეზების წინაშე დგანათ და ამ გზაზე მარტო არ ხართო. იგივე შეიძლება პროექციულად ვივარაუდოთ, რომ სამხრეთ კავკასიას ეხმარება ეს ყველაფერი. იმიტომ, რომ როდესაც საუბარია, რომ გლობალური ომის პარტია იღებს სადავებზე ხელში, ძალიან საინტერესოა მისი ძირითადი მოწინააღმდეგის, რუსეთის რე-

აგირების ანალიზი გავაკეთოთ, რომელიც ამსოლუტურად წყნარად არის, არანაირი მკვეთრი განცხადებები არ ისმის.

მეტსაც გეტყვით, ორი დღის წინ რუსეთმა გამოაქვეყნა საფონდო ბირჟის მონაცემები და საგაჭრო ოპერაციებში მონაწილეობისათვის დასაშვავი ქვეყნების რიგში არის სომხეთი, აზერბაიჯანი და არ არის საქართველო, ძალიან საინტერესოა მინაწერით – მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი აფასებს იმ ძალების მხედვას, რომ საქართველო არ უერთდება ბოლომდე რუსეთის წინააღმდეგ საერთაშორისო სანქციებს, ის ბოლომდე არ არის საიმედო მოსკოვისთვის, არ არსებობს მინიმუმ დიპლომატიური ურთიერთობები. მაგ-

რამ საიმედოდ ჩათვალა ფაშინიანის ხელისუფლება და ის შეძლებს აზერბაიჯანის მსგავსად, მონაწილეობა მიიღოს საფონდო ბირჟის ვაჭრობაში. მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანი გაძედილია შეიარაღებით, რომელსაც მას აწვდიან მსოფლიო აქტორები, გამოირიცხებოდა ეს იარაღი გამოიყენონ სამხრეთ კავკასიაში რომელიმე ლოკალურ ომში. ანუ, მეორე ფრონტი სამხრეთ კავკასიაში სომხეთ-აზერბაიჯანის მიმართულებით, ასევე არ იქნება. სომხეთს ომი უკვე არ ექნება, ეს არის გამოირიცხებული, ეს არის დაუშვავი.

რამდენად მოგებულია რუსეთთან სომხეთის „გამარჯვების“ თვალსაზრისით გლობალური ომის პარტია, ამაზე დასკვნების გამოტანისას არ ვიჩქაროთ, დავაკვირდეთ მოვლენებს და ისე არ აღმოჩნდეს, რომ როდესაც უკრაინის სამხედრო ოპერაციის დასაწყისში ამბობდნენ, დასავლეთმა შეძლო პუტინი თავის ხაფანგში შემოეტყუებინა, ახლა, სამხრეთ კავკასიაში პუტინმა შეძლო გლობალური ომის პარტია საკუთარ ხაფანგში გაემა...“



მონს. კლავდიო გუჯაროვი, აღმოსავლურ ეკლესიათა კონგრეგაციის არაფერი, რაველის არქიმოდაკისკოპოსი, რომის პაპის ყოფილი წინადასახარებელი, სომხეთსა და აზერბაიჯანში

26 სექტემბერს ერთი წელი გავიდა ჩვენი ცნობილი თანამემამულის, მეცნიერ-ეკონომისტი და სახელწიფო მოღვაწის ომარ შურღაიას განდაცვალებიდან. საქართველოსთვის ამ აუნაზღაურებელ დანაკარგს ჩვენმა გაზეთმა რამდენიმე პუბლიკაცია მიუძღვნა. ამჯერად გთავაზობთ საქართველოს დიდი მეგობრის, აღმოსავლეთმცოდნისა და დიპლომატის, ვატიკანის აღმოსავლურ ეკლესიათა კონგრეგაციის პრეფექტის, რაველის არქიმოდაკისკოპოსის, მონს. კლავდიო გუჯაროვის მოგონებას ბატონ ომარში, რომელიც ქართულად თარგმნა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ლევან მიქელაძის სახელობის დიპლომატიური ინსტიტუტის მკვლევარმა, მე-8 მოწვევის საქართველოს პარლამენტის წევრმა, იტალიასა და წმინდა საყდართან საქართველოს საელჩოს ყოფილმა დესპანმა, ბატონმა სოსო დანელიამ.

მეუფე გუჯაროვი 2001-2011 წწ.-ში იყო პაპის ნენცი საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში, შემდეგ კი – ზელორუსიაში (2011-2015 წწ.), უკრაინასა (2015-2020 წწ.) და დიდ ბრიტანეთში (2020-2022). 2022 წ.-ის 21 ნოემბერს პაპმა ფრანცისკამ იგი აღმოსავლურ ეკლესიათა კონგრეგაციის პრეფექტად დანიშნა, ხოლო – 2023 წ.-ის 9 ივლისს კარდინალის ხარისხში აღაზიდა. პაპი ფრანცისკო მას რომის წმინდა პეტრეს ტაძარში ამა წლის 30 სექტემბერს აკურთხებს.

პაპი – ყველასაგან გამორჩეული, მაგრამ ქედმაღლობისა არაფერი ეცხო. კეთილად, სათნოდ, სტუმართმოყვრულად ილიმოდა. გვერდს მეუღლე უმზუნველდა: დახვეწილი და მგრძობიარე ქალბატონი. თან ორი მოზარდი ახლდათ: გონებამახვილი და ყურადღებით აღსავსენი. ასეთი აღმზრდელა მესხიერებაში ომარ შურღაიას ოჯახი მასთან პირველი შეხვედრისას.

იმ დღიდან ბუნებრივად, ძალდაუტანებლად დაიწყო ჩვენ შორის ხშირი, ინტენსიური, სასიამოვნო, ადამიანური და კულტურული თვალსაზრისით დიდად გამამდიდრებელი ურთიერთობა. მისი გამორჩეულობის სიხებადეს ახლა იმის შეგრძნებას დაემატა, თუ რა ანაჩვეულებრივად გონებამახვილ პიროვნებასთან მქონდა საქმე, რა ღრმა ანალიზის უნარით იყო დაჯილდოებული და რა შორს იდგა ყოველგვარი იდეოლოგიური მოდელისაგან.

ჩემი არაკომპეტენტურობის გამო არ შემეძლო, მათთან ერთად მემსჯელა მის სპეციალობასთან დაკავშირებულ უაღრესად სპეციფიკურ საკითხებზე. მიუხედავად ამისა, ბატონ ომარს ჰქონდა უნარი, ჩემთვისაც ვასაგები გაეხადა ეპოქალური გარდაქმნის წინაშე მდგარი ქართველი საზოგადოების მისეული ღრმა ანალიზი. რთული, უაღრესად რთული დრო იყო. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, როგორც ყველა სხვა მოკავშირე რესპუბლიკაში, საქართველოშიც უღმობლად შეეჯახა ჭეშმარიტად დიდი თვითმყოფი ეროვნული კულტურის აღორძინება-აყვავების თავისუფლებებზე ოცნება საარსებო საშუალებების უეცარი მოკლებით გამოწვეულ იმედგაცრუებას. ამ ორ უკიდურესობას შორის, თითქმის, სიურრეალისტურ ადამიანთა მთელი წყება იდგა: იყვნენ შეუძლებელზე მეოცნებენი, იყვნენ ბანდიტები, რომელთაც სურდათ, ხალხს რომინ ჰქედება მოვლინებოდნენ, სინამდვილეში კი სწყუროდათ ძალაუფლება, რომელსაც პოეტური არაფერი ეცხო; იდგა ლუკმაპურის მაძიებელ გაღატაკებულ ადამიანთა უსასრულო რიგები. ლუმპენზინებულთა შორის ყველაზე დატაკნი მინც ინტელიგენციის წარმომადგენლები

სამრო ასპეტიზმი ბერისა, რომელსაც მონასტერი გადაუფრეს...

ომარ შურღაიას არღაპიფყება



ბი მეჩვენებოდნენ, იმათი გამოკლებით, ვინც შეძლო, მომავალ ოლიგარქთა რიგებს შერწყმოდა. ამ ადამიანებს ერთ დროს სამთავრობო ან კულტურულ სტრუქტურებში მნიშვნელოვანი თანამდებობები ეკავათ და ვითარების ობიექტური ანალიზი შეეძლოთ. სწორედ ამიტომაც დარჩნენ ერისა და ბერისაგან მითოვებულნი. მათი ბუნება, გამოცდილება და, ამავე დროს, ნებაც მათ აღავსებდათ ღირსების გრძნობით, რომელიც უფლებას არ აძლევდათ, საოჯახო ნივთები ქუჩაში გასაყიდად გამოეტანათ, ან მცირე ვაჭრობისთვის მიეყობ ხელი, ანდა უმწეო მეზობლებისთვის წაერთმიათ ის მცირეოდენი, რაც დარჩენოდათ.

ბატონი ომარის ოჯახმა გამოსცადა საბჭოთა სისტემის მიერ დაშვებული ერთგვარი კომფორტის პირობები, მაგრამ იგი უდავოდ იყო უმაღლესი დონის კულტურული, არისტოკრატიული განემოს ნაწილი, თუ შეიძლება, ტერმინი „არისტოკრატიული“ მისი ეტიმოლოგიური მნიშვნელობით ვიხმაროთ ისე, რომ საყვედურებით არ ავაგვსოთ იმდროინდელი სისტემა.

ამ განემოსთვის უცხო იყო გაუთავებელი სადღეგრძელოების კულტურა, რომელსაც წლების განმავლობაში საკრალური ღირებულებისგან დაცულა ეწერა და გამოხატავდა ათეიზმს თავსმოხვეულ, მაგრამ მაინც რელიგიურ საზოგადოებას, რომელიც ამაყობდა საკუთარი თავით, თავისი – კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული, მდიდარი წარსულით. მრავალი ადამიანისთვის ეს სადღეგრძელოები, ეს პომპენტური სუფრები დროთა განმავლობაში საკუთარი თავის დამმეიდების მიმოკად იქცა იმ სინამდვილეში, რომელიც თვალსა და ხელს შუა ქრებოდა, ან სულის

ფარულ ლაბირინთებში იყუყუბოდა, რადგან სურდა, გაზრეულიყო და მანტრასავით ნოსტალგიით ემეორა „ძმობა“ და „ძმობა“, რომელსაც ვაჟა-ფშაველამ მგზნებარე, ხანდახან კი დრამატული სტრიქონები უძღვნა. ვაჟას კარგად ესმოდა, რომ ეს „ძმობა“, თითქმის, ყველაფრის უპირობო გაზიარებას მოასწავებდა, მაგრამ არ შეიძლებოდა, სხვა უზენაეს ფასეულობებს არ შესჯახებოდა, მაგალითად, ღირსებას, სხვისგან საკუთარი თავის დაცვას, ან შურისძიებას, როგორც სამართლიანობის არქეტეპს. მაგრამ ღირებულებათა შეჯახების ტრაგედია არ იყო ის, რაც იმ წლებში ადამიანთა თავზე ტრიალებდა. უმეტესწილად იგი იყო თავის გატანის, გადარჩენის უმძიმესი დრამა, ხოლო ის პატარა ღმერთი, რომელსაც სხვადასხვა დროს სხვადასხვა ადგილას ნასხლეთთა კვეთებაში თავის ჩენა სჩვევია და პროზაულ ენაზე ფულს უწოდებენ, ადამიანებს შთაავონებდათ, ნებისმიერ ფასად გადაეჩინათ თავი.

ბატონი ომარი თავისი გონიერების ტოლფასი სიხებადით ახერხებდა, ეკონომიკური და სოციოლოგიური თვალსაზრისით აღეწერა ეს, თავის ნებაზე მიშვებული დინება და მისი ფსიქოლოგიური შედეგები განეჭვრიტა. მისი გონება ბასრი დანასავით სენავდა სინამდვილეს და ამ შედეგებს ტექნიკურ, მაგრამ, ამავე დროს, ცხადზე უცხადეს, ნამდვილ სახელებს არქმევდა. იყო, რომ წარსულთან ერთად მოიკვეთდნენ, როგორც პროფესიონალს და როგორც მეცნიერს, თითქოს, გარდასული ეპოქის ნარჩენი ყოფილიყო. სინამდვილეში კი იგი, გარდამავალი საზოგადოების უბადლო მცოდნე, უაღრესად საშიში ვახლდათ: შეეძლო, ნამდვილი სახელი დაერქმია უცბათ გააბატებულთა თაღლითობისთვის ისე, რომ ყალბი ოქროთი არ მოეპირკეთებინა ის, რაც ბანალურად პირველყოფილი ინსტინქტების ყველაზე მხეცური და არაპოეტური მხარის წარმოჩენის ძველთაძველი ჩვეულებაა, იმ ინსტინქტებისა, რომლებსაც იდეალისა არაფერი სცხიათ და, პირიქით, ყოველთვის გაუმადლობამდე მიდის, იმ გაუმადლობამდე, რომელიც, შეიძლება, შიმშილისგან იშვას, მაგრამ საბოლოოდ მაინც დამკვიდრდება „ნივთების“ ფლობის ბღვარუბოვნელ უინად, რის საფასურსაც უიღბლონი თავიანთი სისხლის ფასად იხდიან. და აი, მაშინ შეიძლება, სუფრა ემსახუროს საკუთარი თავის განდიდებას, ილუზიას, სიცოცხლე დაუბრუნოს შელახულ ღირსებას ისე, როგორც იაპონელი, რომელიც სუფრასთან მიცვალებულს საგანგებოდ მომზადებულ ადგილს უტოვებს, თუმცა, აღარ სწამს მისი უკვდავებისა.

ბატონმა ომარმა იცოდა, რომ შეიძლო, კიდევ გვარი გაეცა და მაშინაც კი არ შეიძლო, რომელსაც მცირედი დაარჩენილი დარჩენი მისი დახმარების მთხოვნელთა რიგში. პირიქით, კვლავინდფურად მიმართავდა თავის დახმარებულ და მაგრიბას გონებას, რადგან ვერ შეიძლო, ან არ სურდა, გაქცეოდა სინამდვილის პირთუთველ, შეუარაღებულ ანალიზს. ასე გახდა მისი ცხოვრება საერთო ასპეტიზმი გერისა, რომელსაც უდავოდ მიაშურა, რადგან მონასტერი გადაუფრეს.

მასხენდება ჩვენი საუბრები მის სახლში, მაგალითად, მაშინ, როდესაც ყირიმში მყოფი მიხეილ გორბაჩოვის წინააღმდეგ იმუშადა მოწყობილი პუტჩის არსის მიხსნადა. იგი სიღრმისეულ კომენტარს უკეთებდა „სინენ-ენ“-ის მიერ გადმოცემულ რეპორტაჟს მაშინ, როდესაც ადგილობრივ სატელევიზიო არხზე კლასიკური ბალეტის რეპერტუარი ამოსწურვოდათ. იმ დამეს ერთგვარი საშინაო ლიტურგიული ატმოსფერო სუფევდა: ომარ შურღაია მისთვის ჩვეული სიღრმით განმარტავდა მოვლენებს, მისი მეუღლე პატივისცემით, თითქმის, ერთგვარი თაყვანისცემით, აწყვეტინებდა სიტყვას, რათა ბრძნული და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები ჩაერთო, ხოლო შვილები ცდილობდნენ, ერთი სიტყვაც არ გამორჩენოდათ მისი ნათქვამიდან.

მე, მაშინ ამ მიწა-წყალსა და ხალხზე უმწიფარი შეყვანებული, ვფიქრობდი იმ უფსკრულზე, რომელიც ამ უცილობელ ანალიზს ამორებდა ანა მხოლოდ ახლადგამოჩვეული ძალაუფლების ვულგარული კომენტარებისგან, არამედ – დასავლელი სოლონების, ჟურნალისტებისა და პოლიტიკოსებისა, რომლებიც იმ დამურებივით გვმოდვრავდნენ, რომელთაც პორიბონტად მხოლოდ ულტრაბგერა აქვთ, რათა, საბრალონი, კედელს არ შეეჯახონ და ძვლები არ დაიღწონ.

ასე, დიდი პატივისცემით, სიყვარულით და ერთგვარი გულაყვებით მიხდა, ამოვიგონო ეს ალაპიანი, რომელსაც არ ისურვა, ერთგული სამოსის აღგზნებით გადახმასთან გაიბიფიფინა მოგაგალი. პირიქით, იგი ერთგულად გულაყვული დარჩა იმ მცნინარებასთან, რომელიც, ალგათ, მყუდრო არა, მაგრამ, თითქმის, ერთადერთი იყო, რომელიც შეიძლება, ნარსული თანაგრძობიფიფინა თანა დააკავშირობინა და დღეს სანანვალად არ გაგზნდომოდ და პირთუთველ, ცხადია, მისი ცოდნის, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, იმის გამო, რომ თავის დროზე ხელიდან გაშვებით შესაძლებლობა, იგი ჩვენს საკეთილდღეოდ გამოგვიყვინინა.

**INFINITART-ის
დამფუძნებელმა
ჩიპრიან პლრინან
ბარსანამ ფონდ
„ქართუს“
მხარდაჭერით,
მნიშვნელოვანი
როლი ითამაშა
შეთანხმებაში,
რომელიც
საფუძვლად დაედო
ფირსმანის
შემოქმედების
გამოფენებს
შვეიცარიაში**



დამსხვრეული ოსნებები მკვლრით აღგებია!

ფონდ „ქართუს“ მხარდაჭერით, შვეიცარიისა და ვეროვის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ხელოვნების მუზეუმში ფირსმანის შემოქმედებას მასპინძლობს.

2022 წლის გაზაფხულზე ფონდ Infitart-ის დამფუძნებელმა, ჩიპრიან პლრინან ბარსანამ, საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ მხარდაჭერით, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა საქართველოს კულტურის სამინისტროსა და ეროვნულ გალერეასთან მოლაპარაკებასა და შეთანხმებაში. მატონი ბარსანის ეს ინიციატივა წამოიწყო საფუძვლად დაედო გამოფენების სერიას როგორც კოპენჰაგენის „ლუიზიანას“ მუზეუმში, ასევე ქალაქ ბაზელის ფონდ „მეიელერში“.

ბარსანის ძალისხმევამ გააძლიერა ინტერესი და საფუძვლი დაუდო ფირსმანის დამზრუნვას დასავლურ ხელოვნებაში, რასაც აღასტურებს 2018 წელს შვეიცარიული ხელოვნებათმცოდნის, მიჩე კურიგერის მიერ ორგანიზებული ტრიუმფალური გამოფენა ვენის „ალბერტინას“ მუზეუმში. ამ გამოფენას უპრეცედენტო გამოხატულება მოჰყვა: დამყარდა ისტორიული რეკორდი – სამი თვის განმავლობაში 415 000-ზე მეტი მნახველი. მიროს, მუნკის, შილეს და დიუშანის გამოფენებთან ერთად, ის საერთაშორისო რეიტინგში 2019 წლის პოსტიმპრესიონისტული და თანამედროვე ხელოვნების გამოფენების ათეულში მოხვდა.

ალბერტინას მუზეუმში მოწყობილმა შთამბეჭდავმა გამოფენამ ანა მხოლოდ ფირსმანის შემოქმედების მასშტაბი წარმოაჩინა, არამედ დახვეწილად აღადგინა მისი 1916-წლისი ხელოვნების ფირსმანის მავიდაის მრავალმეტყველო სკულპტურით. ეს სიმბოლიზმით გაჭედებული და სამარსავით პირქუში ექსპონატი ცნო-

ბილი იპონელი თვითნაწელი მანსტროსა და არქიტექტორის – ტადაო ანდოს ოსტატობასა და კრეატიულობას აღასტურებს.

ამ ყოველივეს ავსებდა უდავოდ ფირსმანისთვის პატივის მისაგებად გამოფენილი ისეთი ცნობილი მხატვრების ძალზე მნიშვნელოვანი ნამუშევრები, როგორებიც არიან ადრიან გენი, გეორგ მანგილიცი, იოჰიტომო ნარა და სხვ. ეს მხატვრული ოდისეა – გამოფენების მთელი წყება – გამოხატავს მატონ ბარსანის მისწრაფებას, მოკლედ გადმოსცეს ფირსმანის ალტემა. ნიკალს ნამუშევრებმა დაამზრუნეს ჯერ ალბერტინას სახელგანთქმული დანაბრები და ვინსენტ ვან გოგის ფონდი ქალაქ არლში, სადაც მათ სანახავად უამრავი ვიზიტორი მივიდა, შემდეგ – ლუიზიანას მუზეუმში კოპენჰაგენში, რომელმაც მეოთხედ მილიონზე მეტ ხელოვნების გულმხურვალე თავყანისმცემელს უმასპინძლა, ახლა კი ბაზელში – ფონდ მეიელერში დაიადეს მანა.

შვეიცარიისა და ვეროვის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ხელოვნების მუზეუმში ახლა ალტემა სრულყოფილ პირველ თავს მასპინძლობს. ფირსმანის ალტემა ვრცელი ნარაბები ჩაფიქრებულია ოთხ თავად, რომლის მომდევნო სამი თავი შემდგომ ეპოქებში უნდა გაიშალოს.

საინტერესოა, რომ მატონმა ბარსანმა არჩია, არ დასწრგოლა ფირსმანის ვერსიასა და გახსნას ფონდ მეიელერში... გამოფენისა, რომლის მოწყობასაც თავად შეუწყო ხელი. ამის ნაცვლად, მან თავისი დასწრება სიმბოლურად გამოხატა პერფორმანსით, სადაც ქალი შავ კაბაში ფირსმანის ხელოვნებაზე ფონს ეხმანება. ამ პერფორმანსის გზავნილია: ნუ მიწოდებ პრიმიტიულს!

ეს თამაში განცხადება ხაზს უსვამს იმას, რომ ფირსმანი აღარ უნდა მიიჩნოდეს პრიმიტიულ ან გულუმწყვლილ მხატვრად, რადგან მისი ხელოვნება ამგვარ კლასიფიკაციას აღემატება. მხატვრული აღონძინებისა და ახლემურად დანახვის ეს მოგზაურობა აისახა მრავალმეტყველო ფრაზაში: ფირსმანის ხელოვნება დღეს უფრო მეტია, ვიდრე უმრავლეს ნონკონფორმიზმი; ეს არის ვარიეტეტი და უგულუმეყოფილთათვის დატოვებული ანდენი... ადგილი, სადაც დაჩაგრული – აღიანებას, ხოლო დამსხვრეული ოცნებების ზღაპრები იმედს პოვეგენ და მკვდრეთით აღდგებიან.



განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306'6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ექნია რაქვიაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

- აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:
1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: ექნია რაქვიაშვილი (პ/ნ 45001006485), ყვარელი, სოფელი ახალსოფელი, მე-11 ქ. №48
 - უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: ყვარელი, სოფელი ახალსოფელი (საკადასტრო კოდი: 57.02.56.000.080 <https://naprweb.reestri.gov.ge/> - /search<https://naprweb.reestri.gov.ge/> - /search).
 - უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდაამავალი სანივთო ვალდებულებებით.
 2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 21512.93 ლარი.
 3. აუქციონის დაწყების თარიღი: 2023 წლის 27 სექტემბერი, 14:00 საათი.
 4. აუქციონის დასრულების თარიღი: 2023 წლის 11 ოქტომბერი, 14:00 საათი.
 5. აუქციონის ჩატარების ფორმა: ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
 - 5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები: განაცხადის №71271HZP92846623; აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 928466
 6. მოვალე: ექნია რაქვიაშვილი (პ/ნ 45001006485), ყვარელი, სოფელი ახალსოფელი, მე-11 ქ. №48; არსენ რაქვიაშვილი (პ/ნ 45001025495), ყვარელი, სოფელი ახალსოფელი, მე-11 ქ. №48.
 7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი: შპს ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
 8. აუქციონის პირობები:
 - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
 - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
 - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს ლიბერთი ბანკი“.
 - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შექენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს თბილისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
 9. აუქციონის პირობები: გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP92846623; ლოტის ნომერი: 928466).

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306'6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მესამე აუქციონს რაფაელ ემინაგაროვის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

- აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:
1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: რაფაელ ემინაგაროვი (პ/ნ 28001070985), მარნეული, ს. ალგეთი, 36-ე ქუჩა №5
 - უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: მარნეული, ს. ალგეთი, 36-ე ქუჩა №5 (საკადასტრო კოდი: 83.03.24.062 <https://naprweb.reestri.gov.ge/> - /search<https://naprweb.reestri.gov.ge/> - /search).
 - უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდაამავალი სანივთო ვალდებულებებით.
 2. უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 5500 ლარი.
 3. აუქციონის დაწყების თარიღი: 2023 წლის 27 სექტემბერი, 14:00 საათი.
 4. აუქციონის დასრულების თარიღი: 2023 წლის 11 ოქტომბერი, 14:00 საათი.
 5. აუქციონის ჩატარების ფორმა: ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
 - 5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები: განაცხადის №71271HZP92846623; აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 928465
 6. მოვალე: რაფაელ ემინაგაროვი (პ/ნ 28001070985), თეთრიწყარო, ს. წინწყარო; მარალ ბაქევა (პ/ნ 28001076381), მარნეული, ს. ალგეთი და თეთრიწყარო, ს. წინწყარო; ჯუმშუდ ემინაგაროვი (პ/ნ 28001033445), მარნეული, ს. ალგეთი, მე-8 მე-2 ჩიხი №5.
 7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი: შპს ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
 8. აუქციონის პირობები:
 - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
 - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
 - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს ლიბერთი ბანკი“.
 - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შექენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს თბილისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
 9. აუქციონის პირობები: გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP92846623; ლოტის ნომერი: 928465).

ზადიზად მისამედ რომ გავა
კაცი მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში, ეს უკვე მის უმაღლეს კლასზე მეტყველებს, მაგრამ როცა საამაყო საჭიდაო ტრადიციების მქონე ქვეყნის – საქართველოს წარმომადგენელზე ვსაუბრობთ, ჩვენი ემოციები გაცილებით ამაღლებულია. დიას, ტყუილად როდია ნათქვამი – მესამე და სამართალი.

ამჯერად ბერძნულ-რომაული სტილის ფალავან ლერი აბულაძე მოგახსენებთ, რომელმაც ტიტულზე ლაშქრობა, როგორც იქნა, ტრიუმფით დაასრულა და, რომ იტყვიან, სამართალს პური აჭამა. დასანანი მხოლოდ ის გახლავთ, რომ ბელგრადში ხულოელი გვირგვინის მთავარი ტიტული ოქრო (63 კგ), ისევე როგორც ნუგზარ წურჭუმიას დამსახურებული ვერცხლი (55 კგ) პანინის 2024 წლის ოლიმპიადის ლიცენზიების მომტანი არ აღმოჩნდა, რადგან აღნიშნული წონეში ფრანგული ფორუმის პროგრამაში შეტანილი არ არის.

უკვე გაუწყეთ, რომ მწვრთნელი მამის ღირსეულმა შვირდმა შეიღმა სერბულ ხალიჩაზე უმძაფრესი ბრძოლები გადაიტანა თურქ, უკრაინელ და ფრანგ მეტოქეებთან, მაგრამ განსაკუთრებით დრამატულად მოვლენები მაინც აზერბაიჯანელ მამედოვთან ფინალურ



მოდინის ანაპოშია

დუელში განვითარდა, რომელსაც ზღვისპირელმა ტალანტმა, სხვათა შორის, ასევე საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე აზიჯებით დასრულებულ ევრო – 2023-ზე სძლია.

დავიწყეთ იმით, რომ პირველ პერიოდში მსაჯებმა უფრო აქტიურად ჩვენი მეზობელი მიიჩნიეს და ჩოქმეცნობი ლერი ჩააყენეს, მაგრამ სწორედ ამ ერთი შეხვედრით წამგებიან ვითარებაში მოახერხა კონტრილეთით აჭარის სპორტული ტრადიციებით გამორჩეულ „კლასიკოსთა“ სკოლის ლიდერთაგან იმ ქელის მოპოვება, მოგვიანებით ტახტზე ამსვლელის ვინაობა მნიშვნელოვანწილად რომ განსაზღვრა.

ასევე ვაუკაცურად შეხვდა აბულაძე მეორე ნახევარში ტურნირის სამდივნოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, როცა პროტესტის გამო მოხატვის გამო სარბილიდან ჯვაროსნის სკვენდანიტი ვლადიმერ გეგვიძე გააძევეს. ასე რომ, უკანასკნელი ქელის საშუალებით (2:2) მოგებულმა ფორუმმა საყვარელ სახეობაში ღრმად განსწავლულობასთან ერთად ასევე ნათლად წარმოაჩინა ჩვენი ჩემპიონის არანაკლებ მრისხანე იარაღი – ფსიქოლოგიური სიმტკიცე, რომელიც ხშირად ყველა იღეთზე ძვირად ფასობს.

ვულოცავთ!

© სპორტი

საკატიო სტუმრები

საქართველოში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდნენ ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის საკოორდინაციო კომისიის წევრები – სპორტული დირექტორი პიტერ ბრული, ბაკურიანი -2025-ის საკოორდინაციო კომისიის თავმჯდომარე ფლორინ მისკა და საკოორდინაციო კომისიის წევრი მერლენ კალიურანდი.

ბაკურიანი-2025-ის საორგანიზაციო კომიტეტში გაიმართა სამუშაო შეხვედრა ევროპელ სტუმრებთან, რომელსაც უძღვევოდა ბაკურიანი 2025-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე მამუკა ხაბარული.

სტუმრებს მიესალმა სეოკ-ის პრეზიდენტი ლერი ხაბელოვი, რომელმაც ხაზი გაუსვა ევროპის ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის მნიშვნელობას და გამოთქვა რწმენა, რომ საქართველო ღირსეულად უმასპინძლებს ამ მულტისპორტულ შეჯიბრს.



ბას: „ჩვენ გვაქვს 2015 წლის ზაფხულის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის ჩატარების გამოცდილება, გვყავს კვალიფიციური კადრები, გვაქვს სამთავრობო მხარდაჭერა, რაც ერთგვარი წინაპირობაა იმისა, რომ ფესტივალამდე დარჩენილ დროში, ყველანი ერთად, ნაყოფიერად ვიმუშაოთ და ამ მნიშვნელოვან შეჯიბრებს მაღალ დონეზე ჩაატარებთ.“

ლერი ხაბელოვი მაღლობა გადაუხადა ევროპის ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენლებს მოსამზადებელ პროცესში აქტიური ჩართულობისთვის, წარმატებული საქმიანობა უსურვა მათ და ბაკურიანი 2025-ის საორგანიზაციო კომიტეტის წევრებს. საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა დავით ტაბიძემ წარმოადგინა ინფორმაცია ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის შესახებ. დამსწრე საზოგადოების წინაშე ვრცელი პრეზენტაციით წარდგა ბაკურიანი 2025-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ დარჩიაშვილი. მან დეტალურად ისაუბრა კომიტეტის სამუშაო გეგმაზე, სხვადასხვა მიმართულებით შესასრულებელ სამუშაოებზე, მათი შესრულების ვადებზე, ფესტივალის სტუმრების მიღება-დაზინავების, ტრანსპორტით უზრუნველყოფის და სხვა საკითხებზე.

ბაკურიანი -2025-ის საკოორდინაციო კომისიის თავმჯდომარე ფლორინ მისკამ დადებითად შეაფასა საორგანიზაციო კომიტეტის მიერ გაწეული საქმიანობა და მოიწონა მზადების სამომავლო სამუშაო გეგმა.

შეხვედრას ესწრებოდნენ სეოკ-ის პირველი ვიცე-პრეზიდენტი ელგუჯა ბერბეგი, ვიცე-პრეზიდენტი ნინო სალუქვაძე, გენერალური მდივანი ემზარ ბენაიშვილი, ბაკურიანი 2025-ის საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენლები. ევროპის ზამთრის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალს საქართველო, კერძოდ ბაკურიანი, თბილისი და ბათუმი 2025 წლის თებერვალში უმასპინძლებს.

© ჰოზიცია

ვეფროსანმა იტალიელმა ფეხბურთელმა და 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა ფულვიო კოლოვატიმ „ნაპოლიში“ ანსებულ სიტუაციაზე ისაუბრა.

კოლოვატიმ ხეივა კვარაცხელია და ვიქტორ ოსიმენი გააკრიტიკა. მისი თქმით, 3-4 თამაშით მათ სათადარიგოთა სკამზე დატოვებდა.


„როდესაც ორი თვის წინათ „ნაპოლიში“ ახალი მწვრთნელი დანიშნეს, გასაგები იყო, რომ ნემისმიერს გაუჭირდებოდა ლუჩანო სპალეტის შემკვიდრების მიღება. გასულ სეზონში „ნაპოლიმ“ სკუდეტო 16-ქულიანი უპირატესობით მოიგო. ეს რაღაც ისტორიული, განუმეორებელი იყო.“

ამ ეტაპზე კვარას და ოსიმენს 3-4 თამაში სკამზე დაეტოვებდა იმის გამო, თუ როგორ მოიქცნენ ისინი. როგორ შედეგად ასე განიხილონ გარსიას არჩევანი?

„კვარაცხელიას და ოსიმენს 3-4 თამაში სკამზე დატოვებდა!“

მწვრთნელს შეუძლია მიიღოს ის გადაწყვეტილებები, რაც მას სურს, შეცდომის შემთხვევაში კი პასუხისმგებელია შედეგზე. ანგისა კონდიციებში არ არის, ლობოტკა მოედანზე დადის. მოტივაციის პრობლემა და მწვრთნელსაც აქვს თავისი პასუხისმგებლობა, მაგრამ ოსიმენის და კვარაცხელიას მსგავსმა ელემენტებმა გადაცემათა კოლოფი უნდა შეიცვალონ“, - თქვა კოლოვატიმ.

შეგახსენებთ, რომ „ნაპოლი“ სერია A-ში ზედიზედ სამი მატჩია ვერ იგებს და მხოლოდ 8 ქულა აქვს, ლიდერ „ინტერთან“ ჩამორჩენა კი უკვე 7 ქულას შეადგენს. გარსიას გუნდი მომდევნო ტურში დღეს, „უდინეზეს“ უმასპინძლებს.



© მხარი დაზრუნვა

თსუ ჩემპიონთა ლიგაზე „ბენფიკასთან“ 60 ქულით დამარცხდა

დიდი ხნის შემდეგ ქართული საკალათბურთო გუნდი ევროტურნირზე თურქულ ანტალიაში დამარცხდა, მაგრამ დამარცხება წარუმატებელი გამოდგა.

ჩემპიონთა ლიგის კვალიფიკაციის მეოთხედი ფინალში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის



გუნდი ლისაბონის „მენფიკასთან“ უმასპინძლა, 62:122 დამარცხდა.

პორტუგალიელებმა პირველივე პერიოდში 10-ქულიანი უპირატესობა მოიპოვეს და თამაშის ბოლომდე სხვაობას მხოლოდ ზრდიდნენ, საბოლოოდ კი 60 ქულით გაიმარჯვეს.

თსუ-ში საუკეთესო გიორგი ტურძილაძე იყო, რომელმაც 19 ქულა და 5 მოხსნა მიითვალა, თუმცა, სხვებმა მას მხარი ვერ აუბეს. 10 ქულა დააგროვა ალექსანდრე ფევაძემ, სხვები ამ ზღვართან ახლოს არ მისულან.

თსუ ამ მარცხის შემდეგ გადაინაცვლებს ფიბა ევროპის თასზე, სადაც 8 აგვისტოს მიუნხენში გამართულმა წილისყრამ ჯგუფში მეტოქეებად ძალიან ძლიერი გუნდები - ფრანგული „შოლე“, იტალიური „ვარეზე“ და გერმანული „გოტინგენი“ აჩვენა. აღნიშნულ ტურნირში თამაშები ოქტომბრის შუა რიცხვებიდან დაიწყება და ჯგუფური ეტაპი (6 მატჩი) 2023 წლის ბოლომდე დასრულდება.

აქვე გაუწყებთ, რომ იტალიის სუპერთასის ფინალში ვირტუსმა ბრეშა დაჩაგრა – 97:60 და სეზონის პირველი ტიტული მოიპოვა. შენგელია – 15 ქულა, 12 მოხსნა.

საზარკლი უაქთსაჲჲა ბარბანიაში

განმანიაში, ქართველი ქალის ჯგუფური გაუპატიურების საქმეზე გამომძიებაჲ ახალი განმომიჯგეო დაადგინა და საქმე სასამართლოში გადაიგზავნა. 27 წლის ქართველი, ჯგუფურად, მეუღლის და მცირეწლოვანი შვილების თვალწინ გააუპატიურეს. სასტიკად არის ნაცემი ქალის ქმარი. შემთხვევა იგნისში მოხდა, თუმცა შემზარავი ფაქტის დეტალები ამ დრომდე უცნობი რჩებოდა.

ქართველ წყვილზე თავდასხმისთვის დაკავებულთა სამი პირი. ისინი სომალიდან და გვინეიდან არიან. აქვთ ნასამართლეობა წარსულში, თავდასხმისა და ნარკოტიკებით ვაჭრობისთვის. ბრალდებულები იყვნენ ნარკოწილვალიზატორები და წამალს სწორედ იმ სკვერში ყიდდნენ, სადაც დანაშაული ჩაიდინეს. პროკურატურამ ბრალი წაუყენა სამ პირს. მათ აღრე გერმანიაში თავშესაფრის მინიჭებაზე უარი ჰქონდათ ნათქვამი და არალეგალურად იმყოფებოდნენ ქვეყანაში. მოწმეთა მონათხრობის თანახმად, სამმა კაცმა ქმარი ჯოხებითა და მუშტებით სცემა, სცემეს ქალიც და შემდეგ ის გააუპატიურეს. მოგვიანებით ქალმა გაქცევა მოახერხა. გამოძიების თანახმად, საჯარაუდო მთავარი დამნაშავე არის 21 წლის ოსმან ბ. სომალიდან. მისი ორი თანამზრახველი გვინეიდანაა: 22 წლის მუბარკარ ბ. და ასევე 22 წლის მოუნტაგა.



მელმაც მსუბუქი დაზიანება მიიღო, მეორე კი დამლაგებელი, რომელიც უგონო მდგომარეობაში კლინიკაში გადაიყვანეს.

ბურიაში სკოლის ჭირი ჩამოინდობრა!

ოზურგათის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვემო ნატანების საჯარო სკოლაში ჭერის ნაწილი ჩამოინდობრა. შემთხვევა მაშინ მოხდა, როდესაც სკოლაში სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა.

დაშავდა ორი ადამიანი. ერთი მშობელია, რომელიც უგონო მდგომარეობაში კლინიკაში გადაიყვანეს.

ქართველები ერთმანეთს ოკეანის მიღებს არ ინდობენ!!!

ამერიკაში ქართველი პაცი მთქლეს. ბრუკლინში, 43 წლის მამუკა ყულაშვილს საკუთარ სახლთან ჩხუბის დროს დანა დაარტყეს. ეჭვმიტანილი ასევე საქართველოს მოქალაქეა. ამერიკული პრესის ინფორმაციით, მამუკაცები მეგობრები იყვნენ.

თვითმხილველების განცხადებით, დაპირისპირების დროს ისინი ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდნენ. 43 წლის ქართველს მეგობარმა 15 ჭრილობა სამზარეულოს დანით თვითმხილველების თვალწინ მიაცენა, ფიზიკურად გაუსწორდა და შემთხვევის ადგილიდან მიიშალა. პოლიციამ ის მალევე დააკავა. შემთხვევა 9 სექტემბერს მოხდა. მიყენებული დაზიანებებით მამუკა ყულაშვილი ორი კვირის შემდეგ გარდაიცვალა. პოლიცია დანაშაულის მოტივს არკვევს.

ორი პატრულ-ინსპექტორის ბარდაცვალების ფაქტზე სასამართლომ ბრალდებული დამნაშავედ ცნო

ხაშურის რაიონულმა სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ ჩადენილი ავტოგარანის შედეგად, ორი პატრულ-ინსპექტორის გარდაცვალების ფაქტზე, ბრალდებული დამნაშავედ ცნო, - ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს პროკურატურა ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, სასამართლომ წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 17 მაისს, ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ გემნისის მიმდებარე ტერიტორიაზე, ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფმა ბრალდებულმა, დაარღვია საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესები, ვერ უზრუნველყო ავტომობილის უსაფრთხო მართვა და შეეჯახა გზის განაპირას გაჩერებულ საპატრულო პოლიციის ავტომანქანას, რის შედეგადაც ავტომანქანაში მყოფი ორი პატრულ-ინსპექტორი ადგილზე გარდაიცვალა.

ბოლნისში მკვლელობა მოხდა!

არსებულში ინფორმაციით, ახალგაზრდა მამაკაცმა ცივი იარაღით მეუღლე მოკლა, შვილი დაჭრა, მოგვიანებით კი თვითდაზიანებები მიიყენა. მამაკაცი კლინიკაში მითავსებულა.

მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 109 (ოჯახის სხვა წევრის მიმართ განხორციელებული განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში) და 11 პრიმა 108 მუხლებით (ოჯახის სხვა წევრის მიმართ განხორციელებული განზრახ მკვლელობა) არის დაწყებული.

ლაზარე ბრიგორიადის 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა

ლაზარე ბრიგორიადისი მამის, გეა ბრიგორიადისის დაჯრის საქმეზე სასამართლომ დასაბუთებლად ცნო.

გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ, ნინო ნაჭყებამ გამოაცხადა. მოსამართლის გადაწყვეტილებით, ბრიგორიადისისთვის სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 120-ე მუხლით წარდგენილი ბრალდება, რაც ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქ დაზიანებას გულისხმობს, 126-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილზე გადაკვალიფიცირდა, რაც ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილ ძალადობას გულისხმობს. ნინო ნაჭყებამ გადაწყვეტილებით, ბრიგორიადისი დამნაშავედ იქნა ცნობილი 187-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში, რაც ბრიგორიადისის მამის კუთვნილი მანქანის დაზიანებას გულისხმობს. ლაზარე ბრიგორიადისი წარდგენილ ბრალდებას აღიარებს. სასამართლომ ბრალდებულის მამამ ბეჭა ბრიგორიადისმა განაცხადა, რომ „ძალიან მთვრალი იყო და ბავშვი არაფერ შეუმი იყო“.




ჯვართაგაღლება

27 სექტემბერს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია და მთელი მართლმადიდებელი სამყარო თაყვანს სცემს და დღესასწაულობს მსოფლიო ამაღლებას პატროსნისა და ცხოველმყოფელისა ჯვარისა.

...ცნობილია, რომ ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე დიდის დედამ, კეთილმსახურმა დედოფალმა ელენემ, განიზრახა იმ ჯვრის მოძებნა, რომელზეც იესო ქრისტე გააკრეს და საგანგებოდ გაემგზავრა იერუსალიმში. მას უთხრეს, ეს ჯვარი ჩაფლულია მიწაში და ზედ წარმართთა ტაძრისა აშენებულია. დედოფალ ელენეს ბრძანებით ტაძარი დაშალეს, გათხარეს და ნახეს სამი ჯვარი და პატარა ფიცარი, რომელზეც ეწერა: „იესო ნაზარეტელი, მეუფე ურიათა“.

...შემდეგ იმის გასაგებად, თუ რომელი იყო ცხოველმყოფელი ჯვარი, სამივე რიგრიგობით შეაყეს მიცვალებულის, ორი ჯვრით სასწაული არ მოხდა, ხოლო მესამე ჯვრის




შეხებით მიცვალებული აღდგა... ასე ამოაზრდნეს უფლის ჯვარი. სრულიად საქართველოს პატრიარქი ილია II ბრძანებს: „ჩვენ უნდა ვატაროთ ქრისტეს ჯვარი, როგორც ბეჭედი, რასაც არ უნდა ვაკეთებდეთ, ის ყველგან ჩვენი გამარჯვების სიმბოლოა“.

გიული ლიპარტიანი

სანთელი

„ბაბუს“ ვეკახდით ამ შესანიშნავ აღამიანს... ომარ ცაავა



ღირსეული მამულიშვილი, არაჩვეულებრივად მოყვასი ადამიანი, ჩვენს საზოგადოებაში გამორჩეული კაცი - ასე გავიხსენებთ ომარ ცაავას.

მართალია, სოლიდური ასაკი ჰქონდა - 88 წელი, მაგრამ ამ პიროვნებამ ეს წუთისოფელი მეგობრებისა და საახლობლოს მოფრებაში, ქვეყნის სიყვარულში ისე გაატარა, ერთი შეცდომაც არ დაუშვია - დიდთან დიდი იყო, პატარასთან - პატარა. წარსულში საკვებში ორგანიზაცია პიდრომშენის ხელმძღვანელი გახლდათ. საბჭოთა კავშირი დაიშალა, პიდრომშენის ტერიტორიაზე, წარმოების სასადაილო გარდაიქმნა კვების ობიექტად - „ზარმაშევის საში“.

— მეგონა, ეს ბიზნესი დროებითია, რთული დრო იყო, შემდგომ კი ქალაქში საოცრად პოპულარულ ცნობილ ობიექტად გადაიქცა, თუმცა ამას რას წარმოვიდგენდი 10 წლის წინ, მაშინ როდესაც უგუნურები ვერ არჩევდნენ ზნეობას, კაცობას, მამულიშვილობას, უფროს-უმცროსობას, მათთვის მთავარი ძალაუფლება და ფული, განსაკუთრებით კი პირი იყო - ამბობდა ომარ ცაავა!

ბევრ მენარმეს და მათ შორის ომარ ცაავასაც პროვოკაცია მოუწყვეს და სა-

შინლად ატკინეს გული არა მხოლოდ მას, არამედ იმ საზოგადოებას, რომელმაც ეს ჭირი მოიშორა... ომარ ცაავა უფრო დაფასებული და უფრო ძლიერი გახდა შინ თუ გარეთ.

ჩვენი საზოგადოების გამორჩეული ადამიანები ყოველთვის მისი გულშემატკივრები და მეგობრები იყვნენ. ბევრი რამ ვისწავლეთ მისგან, მისი შეძახილი გვაგვამარტობდა და გვამხნევებდა, „ბაბუს“ ვეკახდით ამ შესანიშნავ ადამიანს, ზნეობრივად ამაღლებული ქართველი კაცის ეტალონსა და იდეალურ პიროვნებას, რომელსაც არასოდეს დავივიწყებთ.

ნათელში იყოს მისი სული. ამ პატარა ნეკროლოგს ხელს მოაწერდა იმდენი ადამიანი, ალბათ გაზეთი ვერ დაიტევდა, ამიტომ მეგობრების სახელით შევეცადე, საზოგადოებისთვის მემცნო ასეთი ადამიანების გარდაცვალება, ისინი ხომ თავისი ცხოვრებით აღამაზუნდა ქვეყანას და საზოგადოებას.

ღმერთმა მარადიული სასუფეველი დაგიმკვიდროს, კოლორიტულო, ჭკვიანო და დაუვიწყარო ომარ!

უმცროსი მეგობრების სახელით
გალსაზ დოლიძე.

თსსუ იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის თანამშრომლები თანაუგრძობენ ნანა ბარბაქაძეს და ნინო კალატოზიშვილს

ზურაბ კალატოზიშვილის

გარდაცვალების გამო.

ზაურ, ლილი, მამუკა, მაია, ლევან, დათო, ზაალ, ქეთინო, გიორგი, თედო, დოდო, სოფიკო, ზაზა, მადონა, ვალერი, ქრისტინა, ნაზო, კახა, თიკო, ნათია, ქეთი და დათო თელიები, კახა ბერიძე, კახა რეხვიაშვილი და თამრიკო ტორონჯაძე იუნყებიან, რომ ქ. ბათუმში გარდაიცვალა უახლოესი ნათესავი

ბურამ იასონის ძე ჩაბანავა

და სამძიმარს უცხადებენ ოჯახის წევრებს.

საუკუნოვანი

ნათელა ურუშაძე, გოგი გეგეჭკორი... უპილიუპილის თვალთ!

გოგი გეგეჭკორისა და ნათელა ურუშაძის 100 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, თეატრალური წყვილის შვილიშვილმა, თეატრმცოდნე ანანო მირიანაშვილმა შეთანხმდა მემორიალური მემორიალური წიგნი გამოცემა; მართალია, წიგნი სასაჩუქრეა, მაგრამ მასში ორი სახელგანთქმული ხელოვანის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ამბები მოთხრობილია.

სახალხო არტისტისა და მისი თეატრმცოდნე მეუღლის შესახებ გაკეთებული წიგნი-ალბომი, მეგრ ინტიმურ და საინტერესოდ უცნობ ინფორმაციას გვაწვდის, როგორც ამ გამორჩეულ წყვილზე, ისე იმ ეპოქაზე, რომელშიც ისინი ცხოვრობდნენ;

„როცა ირინა აბუანდაძეს ჩემი ჩანაფიქრი გაეანდე, მოლოდინ არც ვიცოდი, გამოვიდოდა თუ არა, მაგრამ ერთი წამიც არ უფიქრია, ისე დამთანხმდა. ერთად სული და გული ჩავდეთ ამ წიგ-“



ნში; წიგნი არ გაიყიდება, არის სასაჩუქრე და პირველ რიგში გადაეცემა სახელოვნებო სასწავლებლების მიმღობითა და მუშეუშეებს“ – წერს წიგნის ავტორი ანანო მირიანაშვილი.

ანანო გოგისა და ნათელას ქალიშვილის, ასევე თეატრმცოდნე მანანა გეგეჭკორის შვილია; რეჟისორი კოტე მირიანაშვილი შვილის ავტორობით გამოცემულ წიგნზე წერს: – გოგი გეგეჭკორისა და ნათელა ურუშაძის 100 წლის საიუბილეო წიგნის გამოცემის იდეა, ყველა შესაძლო აქტივობებს შორის, მთავარი იყო.

ფილმის იდეაც გვექონდა, მაგრამ ეს ძვირად ღირებული და ხანგრძლივი პროექტი გამოვიდოდა.

წიგნზე მუშაობაც ხანგრძლივი იყო. ფაქტობრივად, ბოლო წლებია ანანო არქივზე გაბუდებულ მუშაობდა, აკეთებდა ინტერნეტ-პუბლიკაციებს და როგორც ჩანს, პირად მიმოწერაზე მუშაობის დროს გაჩნდა წიგნი-ალბომის იდეა, სადაც იუბილარები თავად მოწყვებიან საკუთარ ცხოვრებაზე პირადი მიმოწერით ერთმანეთთან, მეგობრებთან. იმედი მაქვს, რომ პირადი ცხოვრების ამსახველი ტექსტი და ვიზუალი გასცდა ოჯახური ალბომის ჩარჩოს. წიგნში ნათელა გამოჩნდა ეპოქა და იმ მოცემულობაში ნიჭიერი ადამიანების რთული ცხოვრება და მრძოლა...

მოამზადა რუსუდან ძოგუშვიამ



ქართულ-გერმანული „რუსთაველის ქვეყნის“ ჩვენება

გაიმართა ქართულ-გერმანული დოკუმენტური ფილმის „რუსთაველის ქვეყნის“ ჩვენება. ეს დოკუმენტალისტი ზურაბ ინაშვილის ბოლო პროექტია, რომელიც მისმა შვილმა ერთვლე ინაშვილმა მამის გარდაცვალების შემდეგ დაასრულა.

ფილმის მთავარი გმირი გერმანელი ლინგვისტი ემინე შაპინგოზია. ცხოვრობს თუ არა დღევანდელი საქართველო რუსთაველის ფასეულობებით და რატომ არის „ვეფხისტყაოსანი“ ასეთი მნიშვნელოვანი ქართველურებისათვის – სწორედ ამას იკვლევს ემინე საქართველოში მოგზაურობისას. ფილმი ერთვლე ინაშვილის სადებიუტო ნამუშევარია. ნმ-წუთიანი კინოფილმი ერთვლე კინოცენტრის მიერ დაფინანსებული პროექტია.

ჩინური კინოხელოვნები სტუმრად თბილისში

ჩინეთის კინოაღმშენებლის დელეგაცია კულტურის სამინისტროში იმყოფებოდა. გაიმართა სამუშაო შეხვედრა. მხარეებმა საქართველოსა და ჩინეთს შორის ურთიერთობისა და კინოხელოვნებაში თანამშრომლობის გაღრმავების შესახებ ისაუბრეს. განიხილეს ერთობლივი პროდუქციის შექმნის შესაძლებლობები.

შეხვედრის ერთ-ერთი თემა იყო მომავალი წლიდან ქართული კინოს ფესტივალის გამართვა ჩინეთში და ქართული და ჩინური კინოარქივების თანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარება.



ქართულ-აზერბაიჯანული კულტურის დიპლომატია

პარლამენტის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ელისო ბოლქვაძე, მაქოში ვიზიტის ფარგლებში, აზერბაიჯანის კულტურის მინისტრს, ადილ ქარიშლის შეხვდა. შეხვედრაზე კულტურის დიპლომატიის მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

როგორც აღინიშნა, საქართველოსა და აზერბაიჯანის კულტურული კავშირები უფრო აქტიური უნდა გახდეს ერთობლივი ღონისძიებების კუთხით და საერთაშორისო პროექტებით, რომელშიც ჩართული იქნებიან ახალგაზრდა ხელოვანები. შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის წევრი სავალან მირზოევი, აზერბაიჯანის კულტურის მინისტრის მოადგილე მურად ჰუსეინოვი, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი აზერბაიჯანში ზურაბ პატარაძე.

დოლი ახალგაზრდა მთაზე

გორის მერიის ინფორმაციით, შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს ცხენოსნებმა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან. ისინი ერთმანეთს ოთხ დისტანციაზე შეჯიბრდნენ.

„გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ მედლებით, თასებით, სიგელებითა და ფულადი პრიზებით. ყველა მონაწილეს გადაეცა სიგელი. პირველი ადგილების მფლობელები გახდნენ: მამუკა კალანდაძე (1 200 მეტრი), დავით გაგნიძე (1 800 მეტრი), ნიკა ვეშაძე (2 400 მეტრი), ავთო ქეზაძე (3 600 მეტრი). საცხენოსნო დოლი გორის მუნიციპალიტეტის მერიისა და სპორტულ გამაჯანსაღებელი და სარეაბილიტაციო საცხენოსნო კლუბ „ვენტაურის“ თანადაფინანსებით გაიმართა. ღონისძიების მიზანი ცხენოსნობის პოპულარიზაცია და სპორტის ამ სახეობაში მეტი ახალგაზრდის ჩართვის ხელშეწყობა იყო.“



საქართველოს რესპუბლიკა
საქართველოს რესპუბლიკა
 პუბლიკაციის მართვა: 2.6732; პირი - 2.8325;
 ბრძანებულება ბიკინი - 3.2581;
 100 რუბლი - 2.7748; თურქული ლირა - 0.0981;
 აპარატიონული მანათი - 1.5684;
 1000 სომხური დრამი - 6.8387

აპირი 27 სექტემბერს
 ადგილობრივი საპარტიო:
 ბარი - ღამე +9, ღამე +27
 მთიანი რაიონები - ღამე +5, ღამე +24
 ადგილობრივი საპარტიო:
 ბარი - ღამე +15, ღამე +30
 მთიანი რაიონები - ღამე +10, ღამე +29
 თბილისი: ღამე +15, ღამე +27

დაგვიკავშირდით, მოგვწერეთ:
 ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17
 ელ. ფოსტა: **sakresp@top.ge**
 და **sakresp@mail.ru**
 ვებ-გვერდი: **www.sakresp.ge**

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS REPUBLIKA
 მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგუშვილი
 599 36-00-35
 მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაძიძე
 597-22-07-04
 ტექნიკური რედაქტორი
კახა ძორიძე
 შემოქმედაბითი ჯგუფი:
ალექს ალანიშვილი
გინა ბაბრიაძე
გინა პლატონიშვილი
ოთარ ტურაბაიძე
 სტილისტ-კორექტორები:
ნაირა კეკელია,
მანია იორაბაშვილი,
ოპარატორი
შორენა გვილია
 რეკლამის მენეჯერი:
 577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
 ანგარიშის ნომერი
GE90BG000000538329790

გამომცემელი:
 შპს 100 – ახალი
 „საქართველოს რესპუბლიკა“
 გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
 599 36-00-35

იკავშირება სტამბა „კოლორი“
 ვ. პაღალაძის №3
კოლორი
 ჯგუფი
 uac(უაკ)070.4(479.22) ს-323

ავტორთა საცხურადღებოდ!
 რედაქციის მიერ შეუქმნილი მასალაზე დაიკავშირება ავტორთა ხარჯით.

გაზეთის მომსახურე ნომერი
გამოვა სვალ,
28 სექტემბერს